საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი

გიორგი შუშანაშვილი

# შემეცნების თეორია

„მეცნიერება"
თბილისი
1981

1 M
66 K 15.1
Შ 963

„შემეცნების თეორია“ ამ სათაურით ერთი ნაწილი 1977 წელს დაიბეჭდა, მეორე 1979 წელს. ეს უკანასკნელი მთლიანი შრომის ბოლო თავია, რომელიც ჭეშმარიტებას ეხება. პირველ თავში ჭეშმარიტების სხვადასხვა თეორიებია განხილული — ჰეგელი, ჯემსი, ჰუსერლი, ჰაიდეგერი, ნეცუბიძე და სხვები; მეორე თავში კი — დიალექტიკური მატერიალიზმის ჭეშმარიტების თეორია; ობიექტური ჭეშმარიტება, ფარდობითი და კონკრეტული და მისი ნიშნები. აბსოლუტური ჭეშმარიტება, როგორც შემეცნების მიზანი, რომელიც ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნებით თანდათანობით სრულდება და ზოგადსაყოველთაო მნიშვნელობისაა.

Ш $\frac{10503}{М\ 607(06)-81}$ 193—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

## I თავი

# ჰეშმარიტების ზოგიერთი თეორიის კრიტიკა

ჰეშმარიტებაზე დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრების გადმოცემის წინ საჭირო იქნება ჰეშმარიტების ზოგიერთი თეორიის მოკლე გადმოცემა, რათა მათთან შეპირისპირებით მისი მოძღვრება უფრო ნათელი გახდეს. ასეთია ჰეგელის თეორია, ჯემსის პრაგმატისტული შეხედულება, ჰეშმარიტების თავისთავადობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჰუსერლის აზრი, რომელიც მეოცე საუკუნეში პლატონის ხაზის გამგრძელებელია და ჰაიდეგერის მოძღვრება ჰეშმარიტებაზე; ამასთან ერთად საყურადღებოა პროფ. შ. ნუცუბიძის თეორია, რომელიც ალეთოლოგიური რეალიზმის სახითაა ცნობილი, თანამედროვე მთავარი თეორიები ჰეშმარიტების შესახებ; ამის მერე ნათელი იქნება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ჰეშმარიტების ცნება სრულიად სხვა საფუძველზეა აღმოცენებული.

ჰ ე გ ე ლ ი. ჰეშმარიტების ეს გაგება, რომელიც ჰეგელსა აქვს, მისი მოძღვრების განუყოფელი ნაწილია. ჰეგელი ობიექტური იდელისტია. მისი მიხედვით, იდეა არის საგნების განმსაზღვრელი, ანუ საგნების რაობა მასზეა დამოკიდებული. ჰეგელი, თავისი მოძღვრებიდან გამომდინარე, ჰეშმარიტების ჩვეულებრივ გაგებას არ ეთანხმება. ასეთი გაგებით ჰეშმარიტება ჩვენი წარმოდგენების საგნებთან თანხმობაა. ჩვენი მსჯელობა ჰეშმარიტია, თუ მას სინამდვილეში საგნის არსებობა შეესაბამება: სინამდვილეში არსებობს ჟანგბადის ატომი და ჩვენი მსჯელობა მის შესახებ ჰეშმარიტია, თუკი ის ნამდვილად არსებობს. ჰეგელს ჰეშმარიტების ამგვარი გაგება არ აკმაყოფილებს; მისი აზრით, ჰეშმარიტების ნიშნით უნდა შეფასდეს არა ჩვენი მსჯელობა საგანთან შესაბამისობის მიხედვით, არამედ თვითონ საგანი. ჰეგელის აზრით, ყოველი არსებული საგანი აზრის გამოვლენაა და იმდენად არსებობს, რამდენადაც ის ასეთია, მას დამოუკიდებელი მყოფობა არა აქვს, ამი-

ტომ საგანი იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ როგორ მიმართებაშია აზრთან. ჰეგელი ორ ცნებას განასხვავებს, არსებობას და ნამდვილობას. ნამდვილი ის არის, რომელიც ამავე დროს ჭეშმარიტია, ხოლო ის, რაც ჭეშმარიტი არ არის, არსებულია. ნამდვილი, ანუ ჭეშმარიტი ის საგანია, რომელიც თავის აზრს, ცნებას შეესაბამება, ანუ საგანი ისეთია, როგორც მისი ცნებაა. ცნება არის საგნის ნამდვილობის, მისი ჭეშმარიტების საფუძველი, ამიტომ იტყვიან ხოლმე ჭეშმარიტს ხელოვნების ნაწარმოებზე, ის იმიტომ არის ჭეშმარიტი, რომ მასში მისი ცნებაა განხორციელებული, ანუ ის ისეთია, როგორც მისი ცნებაა. როცა ადამიანზე იტყვიან, რომ ის არის ჭეშმარიტი ადამიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ისეთია, როგორიცაა მისი ცნება. ცნება ჯერ განყენებულია, რადგან შინაარსით არ არის მდიდარი, მიისწრაფვის იქითკენ, რომ შინაარსიანი გახდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან თავისი თავი უნდა განახორციელოს, ის საგნისკენ მიემართება და საგანი უნდა განსაზღვროს. ეს მოღვაწეობა საბოლოოდ იმაში მდგომარეობს, რომ საგანში ის თავის თავთან იგივეობრივი უნდა იყოს,— ე. ი. თუ საგანი და ცნება სხვადასხვა ბუნებისა იქნება, მაშინ იგი ცნებისათვის მიუწვდომელი ხდება და ის საგანია თავისთავად. ჰეგელის აზრით, შემეცნების მოღვაწეობა ის არის, რომ მან საგანი მის ცნებას დაამთხვიოს. მაშასადამე, ჭეშმარიტება, ჰეგელის აზრით, არის საგნის თანხმობა თავის ცნებასთან[1]. ნამდვილი საგანი ის არის, რომელიც თავის თავს, ანუ ცნებას ეთანხმება. სინამდვილე მოძრაობაშია და ამის შედეგად ცნება და საგანი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს, ანუ ცნებამ შეიძლება თავისი საგანი დასტოვოს და ის ისეთი აღარ იყოს, როგორსაც მისი ცნება მოითხოვს. ასეთ საგანზე იტყვიან, რომ ის არაჭეშმარიტია, არანამდვილია, ანუ უბრალოდ არსებულია. ადამიანი, რომელიც თავის ცნებას არ შეესაბამება, არ არის ნამდვილი ადამიანი, ანუ ის არაჭეშმარიტია. ჰეგელი მაინც ისეთი აზრისაა, რომ თვითონ არაჭეშმარიტიც არ შეიძლება აზრის, ცნების გარეშე იდგეს, რადგან, ის მთელი არსებულის მომცველია, „თვით ცუდი და არაჭეშმარიტიც „ი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მისი რეალობა მის ცნებას შეესატყვისება, ამიტომ მთლად ცუდი, უკეთმართი, ანუ ცნების საწინააღმდეგო თავის თავშივე რღვევადი რამ არის, ქვეყნად ნივთებს თავიანთი არსებობა მხოლოდ ცნების მეოხებით გა-

---

[1] ჰ ე გ ე ლ ი. ლოგიკა, პაპუაშვილის თარგმანი, გვ. 362.

აჩნიათ"[2]. ადამიანი ცნების გამოვლენა იქნება, თუნდაც ის ჭეშ-მარიტი ადამიანი არ იყოს, იმით, რომ მას ადამიანის ნიშნები აქვს. ბიოლოგიურად ის ადამიანია და არა არაადამიანი, ისე, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსი, ადამიანის ცნების ნაწილს შეიცავს და იმითაა იგი ადამიანი; ის, ადამიანის ცნების სრულყოფილი განხორციელება არ არის, მაგრამ ის ამ ცნების გარეშე მაინც არა დგას, რადგან ის ჭეშმარიტი ბიოლოგიური ადამიანის ნიშნების შემცველია. ის ადამიანია, თუმცა არაჭეშმარიტია, რადგან ადამიანის ნიშნებს სრულყოფილად არ შეიცავს; მას სხეულის ნაწილები აქვს თავისი ცნების მიხედვით, მაგრამ ადამიანი მარტო ბიოლოგიური არსი როდია. ჰეგელის აზრით, თუნდაც, რომ სწორი იყოს მსჯელობა, ვიღაცა ავადაა, ან ვიღაცამ მოიპარა, ასეთი შინაარსი არაა ჭეშმარიტი, რადგან ავადმყოფი სხეულის სიცოცხლის ცნებას არ ეთანხმება და სწორედ ასევე ქურდობა ისეთი საქციელია, რაც ადამიანის მოქმედების ცნებას არ შეესაბამება"[3]. ამ საგნებზე ჩვენი მსჯელობა თუნდაც სწორი იყოს, ის თვითონ არ არის ჭეშმარიტი, რადგან თვითონ საგანში სუბიექტი და პრედიკატი ერთმანეთს არ შეესატყვისება. ისინი რეალობისა და ცნების დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან. ადამიანის ცნება და ქურდობა, როგორც მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ჭეშმარიტება იქ არის, სადაც სუბიექტი და პრედიკატი ერთმანეთს ემთხვევა. ცნება რომელიმე ერთეულში სრულად არ ელინდება, ამისათვის საჭიროა ერთეულთა ერთობლიობა, მხოლოდ მათშია ცნება სრულიად გამოვლენილი. ერთეული შეზღუდულია და მის არსებას მისი სასრულობა და დაღუპვა შეადგენს. ცნება, რომელიც მასში მეოცავნდება, განუსაზღვრელია. გამოდის, რომ ცნებაა თავისთავად ჭეშმარიტება და არა ხილული საგნები. საგანი ჭეშმარიტია ცნების საშუალებით, ცნება კი ჭეშმარიტია არა საგნის საშუალებით, არამედ ის თავისთავადაა ჭეშმარიტება. ერთეული ადამიანი ჭეშმარიტია იმიტომ, რომ ის თავისთავადი ჭეშმარიტების მატარებელია, ის ჭეშმარიტებას ემორჩილება. ჭეშმარიტების ჰეგელისეული გაგება სიძნელეების შემცველია, რომელიც თავის უარყოფამდე მიდის, რადგან ასეთი გაგება ჭეშმარიტების ბუნების ამხსნელი არ არის. თუ ჭეშმარიტება საგნისა და ცნების თანხმობაა, ანუ საგნის ცნებასთან თანხმობაა, მაშინ არსებულის უდიდესი ნაწილი ნამდვილი არ აღმოჩნდება; ქურდობა ადამიანის

---

[2] იქვე. გვ. 413.
[3] იქვე. გვ. 362.

ცნებას არ შეესატყვისება, მაგრამ იგი ქურდობის ცნებას შეესაბამება, თუ ყოველი საგნის ცნება თანხმობაა საგანთან, მაშინ ქურდობა ქურდობის ცნებას დაემორჩილება. თუ ქურდობა არის, ის ამ ცნების განხორციელებაა, მაშინ ქურდობა ჰეშმარიტება ყოფილა, ასეთია ჰეგელის თვალსაზრისის ლოგიკური შედეგი. ჰეგელი ობიექტური იდეალისტია და ცნებაც ობიექტურად უნდა განიხილოს. ნაშდვილად კი ის მას ჯერარსული თვალსაზრისით იხილავს, რომელიც არა თავისთავადური, არამედ წმინდა ადამიანურია. ქურდობა ადამიანის ცნებას არ შეესაბამება, რადგან ის ადამიანისათვის სასარგებლო არ არის. ასევე ავადმყოფობა მის მიერ განხილულია არა თავისთავად, არამედ ადამიანური თვალსაზრისით. ავადმყოფი ადამიანი არ არის ჰეშმარიტი ადამიანი. ავადმყოფობის ცნება რაკი არსებობს, ავადმყოფობა მისი განხორციელებაა და ის ჰეშმარიტებაა. თუ დავაკვირდებით, ჰეგელთან ცნებისა და საგნის თანხმობა, როგორც ჰეშმარიტება, სარგებლიანობის თვალსაზრისითაა განსაზღვრული. ეს ნათელია ქურდობისა და ავადმყოფობის მაგალითით. არც ერთი არ არის სასარგებლო, ამიტომ ისინი ადამიანის ცნებიდან არ გამოდიან და ამის გამო ასეთი ადამიანები არაჰეშმარიტი არიან. ცნება რაკი ყოვლისმომცველია, მან ყველაფრის ახსნა უნდა მოგვცეს, ხოლო ცნების ჰეგელისეული გაგება ავადმყოფობის თუ ქურდობის ახსნას ვერ იძლევა. მეცნიერების ამოცანა არსებულის ახსნაა, ხოლო ჰეგელი ამათ ახსნის გარეშე ტოვებს, რადგან ისინი მის მიერ აღებული ცნებიდან არ გამომდინარეობენ. საგანი და მისი ცნება რაღაც კავშირშია, მაგრამ ეს არ არის ჰეგელისეულად გაგებული კავშირი. ჰეგელი დიალექტიკოსია და ამგვარად გაგებული ჰეშმარიტება დიალექტიკას არ ემორჩილება. რაკი დიალექტიკა განვითარების თეორიაა, იგი ჰეშმარიტებასაც ასე უნდა მისდგომოდა და მაშინ მიიღებდა, რომ კარგადმყოფობა ავადმყოფობაში გადადის, არქურდობა ქურდობაში. ორივე მდგომარეობა ცნების განხორციელებაა. ცნება თავის განვითარებაში თავის უარყოფაში გადადის, ხოლო ამ უარყოფის უარყოფით ის თავის თავს ხელახლა აღადგენს. ადამიანის ავადმყოფობა მისი კარგად მყოფობის უარყოფაა, ხოლო ამის უარყოფა კარგადმყოფობის აღდგენაა. ასეთი გაგებით არც ერთი საგანი ცნების გარეთ არ დარჩება და მისი ცნებასთან იგივეობა ჰეშმარიტება იქნება; მეორე მხრივ, რადგან ადამიანური შემეცნება ცნებითაა განსაზღვრული, ის სინამდვილეს შეიცნობს, როგორც ცნების თავისთავთან თანხმობას. ანუ ადამიანის ცნება, როგორც თა-

ვისთავადი, საგნებში შეიცნობს თავის თავის იგივეობას საგნებში განხორციელებულ ცნებასთან. ცდა ჰეგელის მიერ ჭეშმარიტების, როგორც ჩვენი ცნების თანხმობისა საგნებთან, თავისთავადი ცნების საგნებთან თანხმობისაგან გამოყოფისა არ მართლდება, რადგან ადამიანური ცნებაც თავისთავადი ცნებაა, რომელმაც საგნებში თავის თავის იგივეობა უნდა აღმოაჩინოს. განვითარების თვალსაზრისით საგნის და ცნების მიმართება, რომელიც ჰეგელის თეორიით ჭეშმარიტებად ხასიათდება, იმას ნიშნავს, რომ ცნება, როგორც განვითარებაში მყოფი, ტოვებს მოცემულ საგნობრივ წყობას, როგორც მის განხორციელებას და ის ახალ საგნობრივ სამყაროში ხორციელდება; პირველი, როგორც განვლილი საფეხური, აღარ არსებობს, მისი ადგილი სხვამ დაიკავა, რადგან ცნება ეხლა მასში მყლავნდება. ამიტომ პირველი ჭეშმარიტი აღარ არის; ეხლა ახალი საფეხურია ჭეშმარიტი, რადგან ის არის ცნებისა და საგნის თანხმობა, ანუ საგანში ცნების თავისთავთან თანხმობა. ჰეგელის ცნება და ცდისეული სინამდვილე ურთიერთწინააღმდეგობაშია და ცდისეული სინამდვილე ცნების სრული შესაბამისი არასდროს არ იქნება.

3. ჯ ე მ ს ი. ჯემსის აზრით, ადამიანი ბუნებას და, საერთოდ, სინამდვილეს განიხილავს არა თვით ამისი შინაგანი ბუნებიდან ამოსვლით, არამედ ის გარემო სინამდვილესთან თავისი თვალსაზრისით მიდის. ადამიანს ცხოვრებისაკენ სწრაფვა ამოძრავებს, იგი ეძებს საშუალებებს ამის განხორციელებისათვის, მას ბუნების გაგება კი არა აქვს დასახული, არამედ მისი მიზანია ამ სამყაროში თავისი ადგილი მონახოს და საგნები თავის სამსახურში ჩააყენოს, მოქმედებს თუ შემეცნებას ახორციელებს, ორივე შემთხვევაში მას თავის თავი აქვს მიზნად დასახული, ყველაფერი დანარჩენი მისი საშუალებაა. ადამიანს მოცემული არაფერი არა აქვს, ყველაფერს თვითონ ქმნის და ამ ქმნადობაში თავისი თვალსაზრისიდან ამოდის. სინამდვილე, პრაგმატიზმის მიხედვით, დამთავრებული არ არის, ის მუდმივი ქმნადობაა, რომელიც ადამიანის მიერ ხორციელდება, როგორც პრაქტიკულ, ისე შემეცნებით ცხოვრებაში ადამიანი შემოქმედია.

თეორიები, რომლებიც ადამიანის მიერ არის შექმნილი, მიზნად ისახავენ არა რაღაც ამოცანების ამოხსნას, არამედ ისინი ადამიანის მოქმედების იარაღია. ბუნებაში ბევრი რამ არის კარგი, სასარგებლო და უსარგებლო, ადამიანი მიისწრაფვის კარგისაკენ, ხოლო ცუდს განუდგება. პრაგმატიზმი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს

რაციონალიზმს, რომელიც გამოდის დამთავრებული ჭეშმარიტებიდან: რაკი პრაგმატიზმი ადამიანის ჭვედითი მხარიდან ამოდის, ამიტომ ის უარყოფს ჭეშმარიტებას, როგორც დამთავრებულს, და მით უფრო ის უარყოფს სინამდვილის ასახვის თვალსაზრისს. როცა საკითხი ეხება, მაგალითად, საათის გარეგნობის აღწერას, აქ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი შემეცნება მის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ როცა საკითხი მის შინაგან მოწყობილობას შეეხება, აქ უკვე ასახვის ცნების გამოყენება სრულიად უსარგებლოა.

შემეცნება ადამიანს ემსახურება მარტო იმით, რომ ის სინამდვილის შესახებ ცოდნას იძლევა, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. ამის მერე საკითხი ეხება იმას, თუ ეს შემეცნება როგორ სამსახურშია ადამიანის ცხოვრებასთან, რა ცვლილებები შეაქვს მას მის ცხოვრებაში. თუ შემეცნების მონაპოვარი ცხოვრებასთან კავშირში არ არის, ისე მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მხოლოდ ცხოვრებასთან კავშირით არის შესაძლებელი მისი შემოწმება, მისი ვარგისიანობის დადასტურება, ამიტომ ჭეშმარიტი იდეა ის არის, რომელიც ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ, ცხოვრების დინებით დავამტკიცოთ, ის იდეა, რომელიც ჩვენი ცხოვრების დინებაში ჩაირთვება და მას ჩვენ სასარგებლოდ წარმართავს, იმის მაჩვენებელია, რომ იდეა ჭეშმარიტია.

თუ რაციონალიზმი ჭეშმარიტებას გაიგებს როგორც სინამდვილის ასახვას, პრაგმატიზმი ამ აზრისაგან შორსაა; მისი გაგებით, ჩვენი იდეები არა ასახვაა, არამედ სიმბოლოებია. იდეის ჭეშმარიტება არა საგნის ასახვაშია, არამედ მის მიერ ცხოვრების წარმატებულობის ზომაში. იდეა უფრო ჭეშმარიტია მაშინ, როცა ის ცხოვრების წარმატების იარაღია. გამოდის, რომ ჭეშმარიტება მის სარგებლიანობაშია. რამე იდეა იმიტომ კი არ არის ჭეშმარიტი, რომ ის ჭეშმარიტია, არამედ ის იმიტომ არის ჭეშმარიტი, რომ სასარგებლოა; ამიტომ ჯემსი იტყვის, რომ ჭეშმარიტება სიკეთის სახეობაა. სინამდვილესთან მოთხოვნილებით და მიზნით არის ადამიანი დაკავშირებული და ის, რაც ამის გარეშეა, მისთვის არც არსებობს, ადამიანი მისდამი გულგრილია, მას მხოლოდ ადამიანის მიზანი და მოთხოვნილება ხდის მნიშვნელოვანს და სასარგებლოს. ჭეშმარიტი იდეები ირასდროს არ არიან გამოყოფილი და სახელს მიკუთვნებული, თუ ისინი სასარგებლონი არ არიან. ყოველი იდეა, რომელიც ადამიანს ეხმარება როგორც პრაქტიკულში, ისე თეორიულში და ხელს უწყობს ჩვენს ცხოვრებასთან შეგუებას, ჭეშ-

მარიტია. ადამიანებს შორის საერთო ჭეშმარიტებანი სოციალური ცხოვრების ნიადაგზე მუშავდებიან. სოციალურ ცხოვრებაში დაბადებული აზრები მთელი სოციალური ჯგუფის კუთვნილებაა, ისინი სიტყვებშია გამოხატული, სიტყვები სოციალური შეთანხმების გზით არიან დადგენილი, მაგრამ რაკი ისინი დადგენილია, ადამიანები მას ემორჩილებიან და მათ მისი სხვაგვარი ხმარება არ შეუძლიათ; მათ არ შეუძლიათ, რაკი ეს დადგენილია, რომ აბელს კაენი უწოდონ და კაენს აბელი.

პრაგმატიზმის მიხედვით, აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა ის, რომელსაც ვერავითარი შემდგომი ცდა ვერ შეასწორებს, ასეთ ჭეშმარიტებას შეესაბამება სრულიად ბრძენი ადამიანი, რომელიც მთელ ცდისეულ სინამდვილეს აბსოლუტურად გაითვალისწინებს, რაც შეუძლებელია; ცდა დაუსრულებელია და დაუსრულებელის დასრულება დაუსრულებელი აღარ იქნება, ამიტომ ადამიანი ცხოვრობს შეფარდებით ჭეშმარიტებებში. პტოლომეის სისტემა, ევკლიდეს სივრცე, არისტოტელეს ლოგიკა, სქოლასტიკური მეტაფიზიკა იყვნენ ხელსაყრელი საუკუნეების განმავლობაში, რომლებიც კაცობრიობამ გადალახა და ისინი ეხლა შეფარდებით ჭეშმარიტებად ითვლებიან, რომელთაც ძალა ჰქონდათ ცდის განსაზღვრულ საზღვრებში. ჭეშმარიტება პრაგმატიზმის მიხედვით არა საგანია, არამედ აზრია, ის მსჯელობის თვისებაა, მსჯელობაა ჭეშმარიტი ან მცდარი. ამიტომ ცხადია, რომ ჭეშმარიტება ისეთი მსჯელობა იქნება, რომელიც ცხოვრებაში გზას გაგვიკვლევს და წარმატებას მიგვაღწევინებს. ეს წარმატება შეიძლება თეორიული იყოს და შეიძლება პრაქტიკული, ჭეშმარიტება ფაქტებზეა; თვით ფაქტი კი არც მცდარია და არც ჭეშმარიტია, ის მხოლოდ არის, ის თავის თავზე არაფერს ამბობს: ის ადამიანის შეფასების საგანია, რომელიც მსჯელობაშია ნოცემული. ჭეშმარიტება იბადება ფაქტებისაგან და ისევ ფაქტებს უბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტებზე აგებული მსჯელობა ისევ ფაქტებით ბოლდება და იგი აქ შესწორებას განიცდის

ყოველი მეცნიერული თეორია მოცემულ მოვლენებს სწავლობს და მათ გარკვეული საფუძვლით აერთიანებს, მათ მთლიანობის სახეს აძლევს; ის იდეაა ჭეშმარიტი, ან მსჯელობაა ჭეშმარიტი, რომლის აზრი აქ ერთიანობას ქმნის. ამასობაში ახალი მოვლენები ხდება ცნობილი, რომლებიც ძველ განზოგადოებასთან წინააღმდეგობაშია მოსული, აქ უნდა დაიბადოს ახალი აზრი, რომელიც ძველ და ახალ მოვლენებს შორის ამ წინააღმდეგობას მოი-

ხსნის და ამ მოვლენებს გააერთმთლიანებს. სწორედ ის აზრია ჭეშმარიტი, რომელიც ამ მოვლენების შიგნით წესრიგის შემტანი იქნება, აქ საკითხი ეხება არა იმას, რომ ამ ახალმა იდეამ რაღაც ფაქტები ასახოს, არამედ იმას, რომ ვარგისი აღმოჩნდეს მათი მთლიანობაში მოყვანისათვის. ეს მთლიანობა აბსოლუტური არ არის, იგი შეფარდებითია, მის მიერ კვლავ აღმოჩნდება მოვლენები, რომლებიც ძველთან წინააღმდეგობაში მოვლენ და ახალი იდეის დაბადება საჭიროა, რათა წინააღმდეგობა მოხსნას და მთლიანობა დაადგიხოს.

ახალი იდეა, რომელიც მოვლენების მთლიანობას ადგენს, თავისთავადი სიხაშდვილის ასახვა არ არის, ის მხოლოდ საშუალებაა ამ ძოვლენების შინაგანი წესრიგისათვის; მაგალითად, ენერგიის ცხება თავისთავადი არ არის; ის მეთოდია: რომლითაც მოვლენების ცვლილებები ერთიანდება მარტივ ფორმაში. რაციონალიზმი აღიარებს, რომ ჩვენი შემეცნება ფსიქოლოგიურად იცვლება, ხოლო თვითონ ჭეშმარიტება უცვლელია, ეს ორი დებულებით გაშოითქშება: 1. ჭეშმარიტება არის მსჯელობების სისტემა, რომელთაც უპირობო ხასიათი აქვთ, 2. ჭეშმარიტება მსჯელობების სისტეშაა, რომელთა გამოთქმისას იმპერატივის ძალით ვალდებულებას ვგრძნობთ. პირველზე ის უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს. თუ მათ პრაგმატისტულად არ დავახასიათებთ, თუ მათ სარგებლიანობის თვალსაზრისით არ მივუდგებით. რაც შეეხება ვალდებულებას ჭეშმარიტების აღიარებაში, ვალდებულებას მაშინ ვგრძნობთ, თუ ჭეშმარიტებას პრაგმატისტული აზრით მივუდგებით. ამის გარეშე არავითარი ვალდებულების წინაშე არ ვიმყოფებით.

პრაგმატიზმი უცვლელ ჭეშმარიტებებს უარყოფს, ადამიანი ამ საშყაროში თავისი მიზნებით არის მოსული, იგი ამ მიზნებით არის გახსაზღვრული როგორც მოქმედებასა, ისე შემეცნებაში; აშიტომ ის, რაც ერთისათვის ასეთია, მეორისათვის მისი საწინააღშდეგო "ეიძლება იყოს. ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვანაირად ფასდება. ბაგალითად, ვატერლოო ინგლისელისათვის გამარჯვებაა, ფრანგისათვის დამარცხება; სინამდვილეში გარკვეულობა ადამიანს შეაქვს. მას აქვს მარმარილოს თიხა, რომლისაგანაც სხვადასხვა ქანდაკებებს აკეთებს, შეუძლებელია ერთმანეთისაგან გაშოვყოთ თავისთავადი და ადამიანური ქვეყანა. სინამდვილე ჩვენ გვეშორჩილება, ის ჩვენი მიზნებისაგანაა დამოკიდებული, მასში ჩვენ ძეგვაქვს გარკვეულობა, ჩვენ შეგვიძლიან რიცხვი 27-ი გავი-

ზოთ ან როგორც სამის კუბი, ანდა 3 და 9 ნამრავლი, ან 26 და 1 ჯამი, ან 100 გამოკლებული 73 და ასე უსასრულოდ. თუ რომელს შევასრულებთ, ეს ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული.

ჩვენ შეგვიძლიან ჭადრაკის დაფა განვიხილოთ ან როგორც შავების კვადრატი თეთრებზე, ან პირიქით, ორივე სწორი იქნება. სწორ ხაზზე შეიძლება ითქვას, რომ ის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდის, ანდა პირიქით, ორივე სწორი იქნება. ხაზი ორივე აღწერას უშვებს და მათ შორის წინააღმდეგობა არ იბადება. ლექციის მსმენელებისათვის ნამდვილი საგანი არის მათი პიროვნება, ხოლო ანატომიისათვის ეს პიროვნება არის სხეული; ჰისტოლოგიისათვის ხამდვილია არა სხეული და მისი ორგანო, არაშედ უჯრედი. ქიმიკოსისათვის ნამდვილია არა უჯრედი, არამედ მოლეკულები. მაშასადამე, სინამდვილეში ადამიანს შეაქვს გარკვეულობა თავისი მიზნების მიხედვით და ჭეშმარიტებასაც ქმნის ამ მიზნების საფუძველზე.

ჭეშმარიტება რომ სასარგებლოა, ამის საბუთად პრაგმატიზმს ის მოყავს, რომ ჭეშმარიტება კარგია, სიმცდარე მავნეა. ჭეშმარიტება უნდა შევიღოთ, ხოლო მცდარი — უნდა ავიცდინოთ, ეს არის ჩვენთვის იმპერატივი.

ჭეშმარიტება, ცოდნა, რომ მავნებელი იყოს, მაშინ მისკენ არავინ არ წავიდოდა. სიმცდარეს იმიტომ უკუაგდებს ადამიანი, რომ ის მავნებელია და არა სასარგებლო. მაშასადამე, ჭეშმარიტების საფუძველს სარგებლობა წარმოადგენს. ამ სარგებლობის გარეშე ჭეშმარიტებასა და მცდარობას შორის განსხვავება არ არის. ჯემსი ამბობს: როცა მე შემეკითხებიან, რომელი საათია, მე შეშიძლიან ვუპასუხო ასე: მე ვცხოვრობ კირვინგის ქუჩაზე № 95, თუ ჩემი პასუხი ჭეშმარიტია ამ ვითარებისათვის, ასევე ვარგისი იქნებოდა მცდარი მისამართიც; ისე რომ პრაგმატიზმის მიხედვით, გარკვეულ ვითარებაში ჭეშმარიტი და მცდარი ერთი და იგივეა, ერთნაირად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ყველაფრის ამის მიუხედავად, პრაგმატიზმი მაინც სცნობს უცვლელ ჭეშმარიტებებს მეცნიერებაში არსებული განსაზღვრების სახით, რომლებიც ყოველ დროს და ყველას მიერ ერთნაირად არის მოხმარებული.

ჯემსი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმაზე, რომ პრაგმატიზმს ჭეშმარიტების უარყოფას აბრალებენ, ეს მას ცილისწამებად მიაჩნია. ცხადია, რომ პრაგმატიზმი სიტყვიერად ჭეშმარიტებას არ უარყოფს, რადგან ის ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა, რაც ადამიანს ხელს უწყობს ცხოვრების წარმატებაში,

მაგრამ თავისთავად ეს მიდის ჭეშმარიტების უარყოფამდე, რადგან აზრი კი არ არის თავისი შინაარსით ჭეშმარიტება, არამედ მისი ადამიანის მიერ შოხმარება; მისგან გამომდინარე სასარგებლო შედეგია ჭეშმარიტება. პრაგმატიზმის აზრი ჭეშმარიტებაზე ორაზროვანია. კერძოდ, ჯემსი გონებს, რომ ერთნაირი მნიშვნელობისაა ორი დებულება: სასარგებლო არის ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება არის სასარგებლო. ესენი ერთი მნიშვნელობისა მაშინ იქნებოდნენ, თუ ამ მსჯელობების სუბიექტები და პრედიკატები ერთმანეთს დაფარავდნენ, მაგრამ ეს ნამდვილად ასე არ არის, სასარგებლო არის ჭეშმარიტება. აქ ცნება სასარგებლო ფართოა, რადგან ჭეშმარიტების გარდა სასარგებლო ბევრი რამ არის. სასარგებლოა ჰაერი, წყალი, სხვადასხვა ხილი და სხვა მრავალი, მაგრამ მათ ჭეშმარიტების ნიშანი არ მიუდგებათ. გამოდის, რომ ზოგიერთი სასარგებლო არის ჭეშმარიტება, ამ ზოგიერთში შედის მსჯელობა და მივიღებთ. რომ მსჯელობა არის ჭეშმარიტება, თუ სასარგებლოში მსჯელობა შედის. აქ მსჯელობა, როგორც ჭეშმარიტება, იგულისხმება. რაც იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი მსჯელობაა სასარგებლო. ანუ სასარგებლო არის ჭეშმარიტი მსჯელობა. ჭეშმარიტი მსჯელობის სარგებლობა ძირი ჭეშმარიტებიდან გამომდინარეობს, ანუ სარგებლობის საფუძველი ჭეშმარიტებაა. ამით სასარგებლო დაყვანილია ჭეშმარიტებაზე და სარგებლიანობა ჭეშმარიტებიდან გამომდინარეა. მსჯელობა: ჭეშმარიტება არის სასარგებლო. აქ სასარგებლო ჭეშმარიტების ლოგიკური ნიშანი არ არის, სასარგებლო მისდამი ადამიანის მიმართებაში იბადება და მისი ამგვარი მიმართება ჭეშმარიტების ხასიათს არ ცვლის, ჭეშმარიტება ისევ ჭეშმარიტება იქნება, სასარგებლოა ის თუ მავნე.

ძართალია, პრაგმატიზმში განვითარებულია აზრი, რომ ჭეშმარიტი დებულებები ვერ მიიღებდნენ გვარეობით სახელს, ისინი რომ ადამიანისათვის სასარგებლო არ ყოფილიყვნენ, ადამიანი სინამდვილესთან მიზნითაა მიმართული, ამ მიზნობრიობით მხოლოდ მის მიერ საგნების შერჩევა ხდება, ხოლო თუ როგორია თვითონ საგნები, ამას მიზანი არ განაზღვრავს. შემეცნებას საგანი ეძლევა ისე, როგორც ის არსებობს და ის მიზნით არ არის შეფერილი. პრაგმატიზმი ალიარებს ისეთ ჭეშმარიტებას, რომელიც მარადიულია. მაგალითად, ერთი და ერთი რომ ორია, ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მას მარადიული ხასიათი აქვს. პრაგმატიზმი ჭეშმარიტების დროულობას და ცვალებადობას ცნობს იმ არეში, სადაც ადამიანის ცხოვრებისეული მიზნები ხორციელდება. აქ პრაგმატიზმი გამორიცხავს

მარადიული ჭეშმარიტების არსებობას, იქ ის აზრია ჭეშმარიტი, რომელიც მის არსებობას ემსახურება და მას უზრუნველყოფს.

საქმის ნამდვილი ვითარების ამსახველი აზრი, თუ ის ადამიანის არსებობას ეწინააღმდეგება, უარსაყოფელია და ის აზრია მისაღები, რომელიც მისი არსებობის გაგრძელებას უწყობს ხელს. ამიტომ სწორედ ის აზრი უნდა ვამტკიცოთ, რომელიც ჩვენი მეობის არსებობას ამაგრებს, აქ ჭეშმარიტება ის არის, რაც სასარგებლო აზრია და არა ის აზრი, რომელიც საქმის ნამდვილი ვითარების გამომთქმელია. პრაგმატიზმი ამ შემთხვევაში დასაყრდენს ხედავს საზოგადოებრივ მეცნიერებებში, რომლებიც ადამიანების მიზანსურვილებს ეხებიან. აქ, რაც საზოგადოების ერთი ჯგუფისათვის სასარგებლოა, ის მეორისათვის საწინააღმდეგოა, ამიტომ რაც ერთისათვის ჭეშმარიტია, ისე მეორისათვის მცდარია და პირიქით. თუ კი ადამიანებს რაიმე გარკვეული საგნისადმი არავითარი სურვილი არა აქვთ, მაშინ მის შესახებ ჭეშმარიტი და მცდარი ერთი და იგივეა. საგანზე აზრის მცდარობა და ჭეშმარიტება განსაზღვრულია ადამიანის მისდამი მიზანდასახულობით და ამით იძენს ის ჭეშმარიტის ან მცდარის მნიშვნელობას. ჭეშმარიტების სარგებლიანობაზე დაფუძნებით მისი თავისთავადობა გაუქმდა და ზოგადსაყოველთაო ჭეშმარიტების უარყოფა მივიღეთ. ჯემსი ამბობს, ორჯერ ორი რომ 4-ია, არც ამის მტკიცებაა ყოველთვის საჭირო. გამოდის, რომ თუ ამის მტკიცება სასარგებლო არ არის და მისი საწინააღმდეგოა სასარგებლო, ის უნდა ვამტკიცოთ, მისი ჭეშმარიტება უნდა ვცნოთ. ამით ჯემსმა ყოველნაირი ჭეშმარიტების თავისთავადობა უარყო და ყველა მათი არსება სარგებლიანობით განსაზღვრა.. ჯემსის თვალსაზრისი არის ჭეშმარიტებაზე სუბიექტურ-იდეალისტური თეორიის გამოხატულება.

ჰ უ ს ე რ ლ ი. ჰუსერლის მოძღვრებაში ჭეშმარიტება თავისთავადია, მისი არსებობა ადამიანისაგან დამოკიდებული არ არის. რაკი მას ასე ესმის ჭეშმარიტება, იგი სკეპტიციზმის უარყოფას ასაბუთებს. ჰუსერლი ამბობს, რომ დებულება „არ არსებობს ჭეშმარიტება“ — ერთმნიშვნელოვანია დებულებისა „არსებობს ჭეშმარიტება; ის, ვინც ჭეშმარიტებას უარყოფს, თავის თავთან წინააღმდეგობაშია მოსული, რადგან მაშინ მან ისიც უნდა უარყოს, რომ „ჭეშმარიტება არ არის“; რადგან რაკი ის ჭეშმარიტებას უარყოფს, ის ამ უარყოფის ჭეშმარიტებას აღიარებს.. მაშასადამე, ჰუსერლის გაგებით, ჭეშმარიტების უარყოფა შინაგანი წინააღმდე-

გობის შეცვლელია; ამ წინააღმდეგობიდან იმით ძოხდება გამოსვლა, რომ ჭეშმარიტების არსებობას ვაღიარებთ. ასეთი წინააღმდეგობა ზოგადად რომ ითქვას, იმის შედეგია, რომ ისეთი რამის უარყოფა ხდება, რაც ამ უარყოფას შეუძლებელს ხდის. ეს მაშინ არის შესაძლებელი, როცა უარსაყოფელი და უარმყოფელი ერთი და იგივეა. ჰუსერლის აზრით, ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული ადამიანის ბიოლოგიური აგებულებისაგან, ამიტომ ჭეშმარიტება არ იცვლება ადამიანის სხეულის ცვალებადობის მიხედვით. თუ ჭეშმარიტება ასე იქნება გაგებული, მაშინ წინააღმდეგობრივ ძდგომარეობას მივიღებთ; როგორც ცნობილია; ადამიანი ბუნების განვითარების შედეგია და თუ ადამიანისაგანაა ჭეშმარიტება დამოკიდებული, მივიღებთ შემდეგ დებულებას: ადამიანი არის ბუნების განვითარების შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნება არის ადამიანის ცვალებადობის შედეგი, ანდა, სხვაგვარად, ადამიანი ღმერთმა შექმნა; ხოლო, მეორე მხრივ, ღმერთი ადამიანმა შექმნა. მაშასადამე, ჭეშმარიტება ამ აზრითაც ადამიანისაგან არ არის დამოკიდებული; თუ ადამიანის ბიოლოგიური აგებულებით ავხსნით ჭეშმარიტებას, მაშინ თუ ამ სახეებიდან ყველა მოისპობა, გარდა ერთისა. გამოვა, რომ აზრს, ორგანიზმების, არარსებობაზე საფუძველი ჰქონია ამ ორგანიზაციაში. ჭეშმარიტების ფარდობითობას მივყევართ საბოლოოს ფარდობითობამდე, არ შეიძლება ჭეშმარიტება გავაფარდობითოთ და სამყარო კი აბსოლუტურად დავტოვოთ, რადგან საგანი არსებობს მხოლოდ ჭეშმარიტების ძალით.

ჭეშმარიტება ზევრცეული და ზედროულია, ცდისეული სინამდვილის ცვლილების მიხედვით არ იცვლება, ცდისეული სინამდვილე რეალურია, ხოლო ჭეშმარიტება იდეალურია. ცდისეულ საგნებში ძიზეზობრივი კავშირია, ხოლო ჭეშმარიტებაში ლოგიკური კავშირია. ძეცნიერება ჭეშმარიტების კავშირია, ჭეშმარიტებანი ერთმანეთს ლოგიკის კანონების მიხედვით არიან დაკავშირებული, ხოლო ეს კანონები ადამიანს ცდით ან ინდუქციით არა აქვს ძიღებული; ცდით მიღებული ალბათურია, ხოლო ლოგიკის კანონები უპირობო სიცხადის მქონენია. ჭეშმარიტება ადამიანის ფსიქიკურის შინაარსია, რომელიც მის ცვლილებებისაგან დამოუკიდებელია. ადამიანის ფსიქიკა იცვლება, სხვადასხვა დროს სხვადასხვაა, ძაგრამ მასში ჭეშმარიტება, როგორც მისი შინაარსი, უცვლელია. 2-2-4 ადამიანის ფსიქიკურის შინაარსია. ის შეიძლება ერთმა ადამიანმა რამდენიმეჯერ გამოთქვას, ამ გამოთქმას სხვადასხვა ფსიქიკური განცდები ახლავს, მაგრამ მათი შინაარსი ყოველთვის

ერთი და იგივეა. ამ მსჯელობის გამოთქმა სხვადასხვა მიზეზით იქ-სება გამოწვეული; ის, როგორც ფსიქიკური, მიზეზობრივ დამოკიდებულებას არ შეიცავს, 2.2 მიზეზი არ არის, 4 მათ შორის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაა, მაშასადამე, თვითონ დებულება 2.2=4 მიზეზობრივ კავშირს არ შეიცავს.

ჭეშმარიტება გვარეობითია. გვარეობითი ჭეშმარიტება, როგორც ზოგადი, დასაბუთებას ნახულობს კანონებში, ამ დასაბუთების დროს მივდივართ იმ კანონებამდე, რომლებიც შემდეგ დასაბუთებას აღარ საჭიროებენ, რადგან ისინი უშუალო სიცხადის მქონენია; ასეთია, მაგალითად, ლოგიკის კანონები, რომლებიც ყოველნაირი დასაბუთების ამოსავალია და თვითონ ისინი უშუალო სიცხადის მატარებელნია. ერთეული ჭეშმარიტება კი შემთხვევითია; აქ ერთი ფაქტის მეორესთან კავშირი შეიძლება ზოგადი კანონების საფუძველზეა დამყარებული და ამით წესრიგდება ფაქტთა კავშირი. ჰუსერლის აზრით, ჭეშმარიტება მსჯელობისაგანაა დამოუკიდებელი, ის არის წარმოდგენილი დებულების სახით, რომელიც მსჯელობის შინაარსი ხდება; თავისი „ლოგიკური გამოკვლევის“ პირველ ტომში ჰუსერლი წერს, რომ მსჯელობა სწორია, როდესაც ის ჭეშმარიტად თვლის იმას, რაც ჭეშმარიტია; ე. ი. როდესაც მისი შინაარსია ჭეშმარიტი დებულება.

მაშასადამე, ჰუსერლის აზრით, მსჯელობამდე არსებობს აზრი დებულების სახით, რომელიც მსჯელობის შინაარსი ხდება; შემეცნება ჭეშმარიტების წვდომაა, ამიტომ შემეცნება ცვალებადობაშია, ის მრავალ ფსიქიკურ მოქმედებებს შეასრულებს და მასთან ძია, ხოლო თვითონ ჭეშმარიტება სრულიად უცვლელია: ჰუსერლი ამბობს, ჭეშმარიტება გვესმის არა როგორც ცდისეული შინაარსი, რომელიც ფსიქიკურში დაიბადება და მოისპობა, ის არ არის მოვლენა მოვლენის გვერდით მყოფი, არამედ, ის არის იდეა. ჭეშმარიტება არის იდეა, რომელსაც ჩვენ განვიცდით მსჯელობის აქტებში. ჰუსერლისათვის მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების სიცხადე. ადამიანს აქვს ჭეშმარიტების სიცხადის გრძნობა; როგორც ჰუსერლი ამბობს, სიცხადე არის არა დამხმარე, მეორეხარისხოვანი გრძნობა, რომელიც შემთხვევით ან ბუნებრივი კანონის მიხედვით, მსჯელობას უერთდება: ჭეშმარიტების სიცხადის გრძნობა არ-ს ისეთი ფსიქიკური, რომელიც მსჯელობას თან ახლავს. სიცხადე სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების სიცხადე. ჭეშმარიტება გაგიცდება იმ აზრით, რა აზრითაც იდეალური რეალურში განიცდება. ჭეშმარიტება არის იდეა, რომლის კერძო შემთხვევა ცხად მსჯელობაში აქტუალურად განიცდება, ურთიერთთანხმობის სიცხადის

გახცდა წიხადადების აზრისა და საგანთა ვითარებისა არის ჭეშმარიტება. ჰუსერლის აზრი იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება ჩვენს მსჯელობის აქტებში ცხადად არის მოცემული, როგორც იდეალური რეალურში, მის მიერ დასაბუთებული არ არის. ნათელია, ის, რომ ადამიანი უნდა განიცდიდეს ამა თუ იმ დებულების ჭეშმარიტების სიცხადეს, მაგრამ ეს სიცხადეა სწორედ საძიებელი, ეს არ არის ჩვენი თვითნებური გრძნობა. ამას თვით ჰუსერლიც ამბობს, მაგრამ მას არა აქვს გარკვეული, თუ როდის ხდება ჭეშმარიტების მიღწევა, რომელსაც სიცხადის გრძნობა აქვს. სიცხადე, რამდენიც უნდა გავზარდოთ ის, ადამიანურია, რომელიც შიშველ ნიადაგზე აღმოცენებული არაფრის მაქნისი არ არის. სიცხადის გრძნობა მხოლოდ ან საგნის უშუალოდ მოცემულობის საფუძველზეა შესაძლებელი, ან მოცემული აზრის ლოგიკური დასაბუთების საფუძველზე. აზრი მაშინ იქნება როგორც ჭეშმარიტება ცხადი, როდესაც მას თან ახლავს ეკვმიუტანელი სიცხადე; აზრის ჭეშმარიტებას სიცხადეს აძლევს სწორედ დასაბუთება; დასაბუთებამ უნდა გამორიცხოს მოცემული აზრის საწინააღმდეგო შესაძლებლობა და მაშინ მიიღებს მოცემული ჩვენთვის ჭეშმარიტი აზრის მნიშვნელობას. ცხადია, ეს მოცემული დასაბუთებამდეა ჭეშმარიტი და ის, როგორც ჭეშმარიტი, ჩვენთვის ჭეშმარიტად უნდა იქცეს სწორედ ამ დასაბუთების საშულებით; ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს აზრია თავისთავად შემეცნებისაგან დამოუკიდებლად, ის შემეცნების მონაპოვარია, მაგრამ რაკი ის აზრია, ან ჭეშმარიტია, ან მცდარი მის დასაბუთებამდე. ჰუსერლის თეორია ჭეშმარიტების ადამიანის შემეცნებისაგან დამოუკიდებლობაზე მცდარია, რადგან ჭეშმარიტება ჩვენი აზრია, რომელიც საგანს ისე გამოხატავს, როგორც ის არის. რაკი ადამიანის გარეშე აზრი არ არის, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აზრი თავისთავად ჭეშმარიტებას ვერ მოგვცემს. სწორედ ის არის ადამიანის აზრის დამახასიათებელი, რომ ის თავისთავადობის მქონეა, ჭეშმარიტების დამდგენია. ჰუსერლის აზრით, შემეცნება იმით არის შესაძლებელი, რომ აზროვნებას საგანი უშუალოდ აქვს მოცემული, ეს ასე რომ იყოს, მაშინ შემეცნება ერთი მოცემული საგნიდან მეორე მოცემულ საგანზე გადასვლა იქნებოდა და ის იოლადაც განხორციელდებოდა. საქმე იმაშია, რომ ასე არ არის. აზროვნებას მოცემული აქვს არა საგანი, არამედ აზრი მის შესახებ და დასაწყისში უცნობია, ის ჭეშმარიტია თუ მცდარი; ეს მხოლოდ შემეცნების მსვლელობაში გაირკვევა, რაც მოცემული აზრის დასაბუთე-

ბასთან არის დაკავშირებული. ცხადია, შემეცნებას რაღაც აქვს უშუალოდ მოცემული, რომლის იქით შემეცნება ვერ წავა და ის ბისი დასაწყისის გამოსავალია, მაგრამ ის მაინც მთელი შემეცნების წიხაპირობაა, რომელიც მთელი ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საკმარისი არ არის, ნამდვილად უშუალოდ გვაქვს მოცემული, რომ ორი ერთმანეთის უარმყოფელი მსჯელობიდან ერთი ჭეშმარიტია, მეორე მცდარია, მაგრამ ეს როდი უზრუნველყოფს თვით რომელიმე მსჯელობის ჭეშმარიტებას, ამისათვის საჭიროა ახალი საფუძვლები, რომლებიც ძიებით უნდა იქნეს მიღებული.

ჰაიდეგერი ჭეშმარიტების თავისებურ გაგებას იძლევა; ჩვეულებრივი გაგებით, ამბობს იგი, ჭეშმარიტი იგივეა, რაც ნამდვილი; ჩვეულებრივად იტყვიან, რომ ეს არის ნამდვილი, ანუ ჭეშმარიტი მეგობარი, ეს არის ნამდვილი, ანუ ჭეშმარიტი ოქრო. ამას გარდა, ჭეშმარიტს და ყალბს ვუწოდებთ წინადადებას — ჭეშმარიტი წინადადებაა ის, რომელიც საგანს შეესაბამება. საგანი და შემეცნება ერთმანეთს შეედარება და ჭეშმარიტება იქნება მათი ურთიერთშესაბამისობა, ანუ სისწორე. თანხმობაზე სხვადასხვა მნიშვნელობით ლაპარაკობენ. ორი ფულის ნიშანზე შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ერთმანეთს გვანან გარეგნობით და ამიტომ ისინი ერთმანეთის მსგავსია.

შეიძლება გამოითქვას წინადადება „ეს ფულის ნიშნები მრგვალია". ამ შემთხვევაში თანხმობაშია არა საგანი საგანთან, არამედ წიხადადება საგანთან. რაში მდგომარეობს ამ შემთხვევაში თანხმობა? ფული არის ლითონისაგან, ხოლო წინადადება, საერთოდ, ხივთიერი არ არის; ლითონი არის მრგვალი, ხოლო წინადადება, საერთოდ, ვრცეული არ არის. ფულით შეიძლება რაიმეს ყიდვა, ხოლო წინადადება ამ ნიშანს მოკლებულია. ყველა ამის მიუხედავად, წინადადება შეთანხმებულია ამ ლითონის ფულთან. ფული და წინადადება სხვადასხვა გვარისაა და მათი შეთანხმება იმას არ ნიშნავს, რომ წინადადება ფულის სახეობად გადაიქცეს და ისე მოხდეს მათი ურთიერთშედარება. აქ შედარება და მათი ტოლობა ძიმართებას ალხიშხავს. ამიტომ მიმართების ცნება უნდა გაირკვეს. წიხადადება ფულზეა მიმართული, ის ფულს წარმოადგენს და წარმოდგენილზე იტყვის, თუ ის რა არის, მიმართების დამახასიათებელი ის არის, რომ მიმართების წევრები ღიადობაში არიან. წინადადებას სისწორე აქვს ღიადობის საშუალებით. ჭეშმარიტება არ არის წიხადადების შინაგანი თვისება, ღიადობა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი იმთავითვე სამყაროშია, ის ამ სამყაროს გარედან კი არ

უდგება, არამედ მასშია, ამიტომ სამყარო ადამიანისათვის ღიაა, ის მისთვის რომ დახურული იყოს, შემეცნება შეუძლებელი იქნებოდა.

თვით ადამიანიც ღიაა სამყაროსადმი. ადამიანი სამყაროში მასში არსებულ საგნებზეა მიშვებული, რომლებსაც ჰაიდეგერი, თავისუფლების სახით ახასიათებს. თავისუფლება უპირველესად უნდა გახისაზღვროს როგორც ღიადობის სიცხადის თავისუფლება. ჰაიდეგერი ხმარობს გამოთქმას „არსზე მიშვება", რაც ნიშნავს არა მისდამი გულგრილობას, მიმდამი უყურადღებობას, არამედ, პირიქით, არსებულზე თავისი თავის მიშვებას. არსის მიშვება ნიშნავს ღიადობაზე მიშვებას. ამ ღიადობით არსზე მიშვებით არის არსებულის გამოცხადება შესაძლებელი, რომელსაც ჭეშმარიტება ეწოდება. ჰაიდეგერის აზრით, არსის მიშვება და თავისუფლება ერთნაირი მნიშვნელობისაა, თავისუფლება ნიშნავს არსებულის გამოცხადებაში ყოფნას. ღიადობაში არის გამოცხადების საფუძველი; სამყარო რომ ღია არ იყოს, ის არც გამოცხადდებოდა და ადამიანისათვის სამყარო ყოველთვის დახურული იქნებოდა. ღიადობის საფუძველზე არსი ისე ცხადდება, როგორც ის არის. შემეცნება თავისუფალია იმას ნიშნავს, რომ ის არსებულისათვის სრულიად ღიაა და ის მასში ისე შემოვა, როგორც ის არის.

ადამიანს თავისუფლება აქვს არა როგორც თვისება, არამედ მას თავისუფლება განაგებს, ხოლო თავისუფლება არსზე მიშვებაა, მისი გამოცხადებისათვის. მაშასადამე, რაკი ჭეშმარიტების არსება თავისუფლებაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, ადამიანის არსზე მიშვებაში არსი ცხადდება არა ისე, როგორც ის არის, არამედ ის იფარება კიდეც. ამიტომ შეცდომა არის აუცილებელი. ჰაიდეგერი ამის გამო იტყვის, რომ უჭეშმარიტობა ჭეშმარიტებიდან უნდა გავიგოთ. ჭეშმარიტების არსება არის არსების ჭეშმარიტება, ანუ ჭეშმარიტება არის არსი მის მთლიანობაში დაჭერილი; ჭეშმარიტება არ არის ყოველდღიურობაში ტრიალი, არამედ იმის დაუფლებაა, რაც ამ ყოველდღიურობის საფუძველია. აქ, როგორც ჩანს, მას ჰეგელის გავლენა ეტყობა. ჰეგელთან ხომ სინამდვილის გარეგხულობაში ცოდნა მოჩვენებითობის არეში ტრიალია. ასევეა ჰაიდეგერთანაც.

ჭეშმარიტების არსება მთლიანობის შემეცნებაა. მას მთლიანობის შემეცნება არ ესმის როგორც ცალკეული მეცნიერების ნიერ ნიღებული ცოდნის ჯამი, ის გონებს პირიქით, სადაც ეს ცოდნა ხაკლებია, იქ მთელის ცოდნა უფრო მეტია; ისე რომ, ჰაიდეგერის აზრით, მეცნიერების წინსვლამ, რაც ცალკეული მეცნიერე-

ბის გახვითარებით მოხდა, ადამიანს მთელის ცოდნა დაავიწყა. ცალკეულ არსებაზე მიშვებამ, მათმა გამოცხადებამ დაშალა არსებული მის მთლიანობაში ისე, რომ არსზე მიშვება და გამოცხადება არის ამავე დროს არსის დაფარვა, რაც საბოლოოდ შეცდომას ნიშნავს. ცალკეული არსის გამოცხადებისას მთლიანი არსებულის დაფარვა არის შეცდომა. მსჯელობის უსწორობა და შემეცნების შეცდომა არის ცდუნების ერთ-ერთი და ზედაპირული სახე, ცდუნება ბატონობს ადამიანზე, გამოცხადებისა და დაფარვის ერთდროულობაშია ცდუნება.

ჭეშმარიტი არსი, როგორც აღმომჩენი არსი, შესაძლებელია. მისი სამყაროში არსებობის საფუძველზე. არსის აღმოჩენა დაფუძნებულია სამყაროს ღიადობაზე. ღიადობა ადამიანის საკუთარ არსს ეკუთვნის. ექსისტენციონალურ-ონტოლოგიური საფუძველი აღმოჩენისა ჭეშმარიტების პირველადობას გვიჩვენებს. ნამდვილად ადამიანს ეკუთვნის დაკეტვა და დაფარვა, რადგან ის არის არსზე მიშვებული და რა წესითაც ის არსზეა მიშვებული, ამ წესით შეიცნოვა არსი მასში. წინადადება არ არის ჭეშმარიტების პირველი ადგილი. წინადადება არის ჭეშმარიტების მიღების ნაირობა და დაფუძნებულია ღიადობაზე; პირველადი ჭეშმარიტება არის არსოლოგიური პირობა, რომლითაც წინადადება ჭეშმარიტი ან მცდარი ხდება. ჭეშმარიტება არის ადამიანის პირველადი გაგება. ჭეშმარიტება არსებობს იმდენად, რამდენადაც ადამიანია.

ხიუტონის კანონები ადამიანამდე არც ჭეშმარიტი იყო და არც მცდარი, რადგან ისინი აღმოჩენილი არ იყვენ, ისინი ადამიანის აღმოჩენის საშუალებით იქცნენ ჭეშმარიტებად. ჭეშმარიტება არის ადამიანის არსთან მიმართებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის სუბიექტურია, თუ სუბიექტური გაიგება როგორც სურვილი. აღმოჩენა წინადადებას ართმევს სუბიექტურ სურვილებს და ადამიანი მიჰყავს არსებულის წინაშე, ის, რაც აღმოჩენას შესაძლებლად ხდის, უნდა გავიგოთ როგორც ჭეშმარიტება. აღმოჩენა დაფუძნებულია სამყაროს ღიადობაზე, რაც არის ადამიანის ძირითადი წესი. ჭეშმარიტება არის ადამიანის ღიადობა, რომელსაც ეკუთვნის შინა სამყაროს არსებულის აღმოჩენა, ღიადობით ადამიანი არის ჭეშმარიტება უჭეშმარიტობაში. ჭეშმარიტება და არსი ერთნაირად პირველადებია, ჭეშმარიტება არის არსებული არსის გამოცხადება. ჭეშმარიტება არ არის ადამიანის გარეშე და არსი ჭეშმარიტების გარეშე. პირველადი ჭეშმარიტება, ანუ ადამიანისა და სამყაროს ღიადობა არის არსოლოგიური პირობა იმის შესაძ-

ლებლობისა, რომ წინადადება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ჭეშ-
მარიტება არსებობს — ნიშნავს, რომ ჩვენ ჭეშმარიტებაში ვართ,
რომ ის ადამიანის არსის სახეა. ჩვენ ჭეშმარიტებას ვგულისხმობთ
არა როგორც ჩვენს ზევით და ჩვენს გარეთ მყოფს, ჩვენ მას ვგუ-
ლისხმობთ როგორც ონტოლოგიურ ძალას, რომლითაც ჩვენი ამ-
გვარი არსებობაა შესაძლებელი. ჭეშმარიტება იგულისხმება, იმას
ნიშნავს, რომ ის გაგებულია როგორც ადამიანის შედეგი. ღიადო-
ბის საფუძველზე ადამიანი მიდის გამოცხადებისაკენ, ამიტომ ის
ჭეშმარიტებას გულისხმობს. ჩვენ ჭეშმარიტებას ვგულისხმობთ
როგორც ღიადობას, როცა სკეპტიკოსი ჭეშმარიტებას უარყოფს,
ის მას გულისხმობს; როცა არავინ მსჯელობს, ჭეშმარიტება იგუ-
ლისხმება, რადგან ადამიანი არსებობს.

ჰაიდეგერის მიზანია ჭეშმარიტებას არსოლოგიური საფუძვე-
ლი გამოუხახოს, ის ამას იმაში ხედავს, რომ სინამდვილისადმი იგი
გარედან ძოსული კი არ არის, არამედ ის ამ სინამდვილეშია, სი-
ხამდვილე მისთვის ღიაა ისე, როგორც ადამიანი მისდამია ღია, ამ
ღიადობაზე აფუძნებს ჭეშმარიტების შესაძლებლობას.

ღიადობის ცნება იმდენად გაურკვეველია ჰაიდეგერის ფილო-
სოფიაში, რომ მის საფუძველზე ჭეშმარიტებისა და, საერთოდ,
ძეძეცხების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, საკითხი სწო-
რედ იმას ეხება, თუ. როგორ ხდება შემეცნება ღიადობის საფუძ-
ველზე, როგორ არის ეს შესაძლებელი, რას შეიცავს ღიადობა
ისეთს, რომელიც ამ შემეცნებას განსაზღვრავს. ადამიანი აზროვ-
ნებს, ძას საგნად აქვს სინამდვილე; როგორ ხდება, რომ აზრში
სინამდვილე შემოდის, რა არის სინამდვილესა და აზროვნებაში
ისეთი, რის საფუძველზეც ეს ერთობა მყარდება; არც ერთი ფი-
ლოსოფოსი იმას არ ამბობს, რომ ადამიანი უცხოა მისი გარე სი-
ხამდვილისადმი, ყველა ამტკიცებს, რომ მათ შორის კავშირია;
ადამიანი ბუნების ნაწილია, მის გარშემო მყოფობს და სწორედ
იდეალურსა და არაიდეალურს შორის ეს კავშირი, როგორც შე-
ძეცხებითი კავშირი, როგორ ხორციელდება, აი, ეს არის საკითხი;
ამის გადაწყვეტას ჰაიდეგერის ღიადობის ცნება ვერ გვაძლევს.
შეძეცნება ოომ არსებობს, ეს საკითხი დამტკიცებას არ საჭირო-
ებს, ეს არის უშუალოდ მოცემული რაობა, რომლის მიმართ ეჭვი
საფუძველს მოკლებულია, რადგან თვითონ ეჭვიც ერთგვარი შემეც-
ნებაა. ამიტომ შემეცნების არსებობა არის ამოსავალი და არა გა-
მოსაყვანი. რაც შეეხება ჰაიდეგერის სხვა დებულებებს, კერძოდ
იმას, რომ ჭეშმარიტება არ არის ადამიანის გარეშე, მოაზროვნე არ-

სის გარეშე, ეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ადამიანის, როგორც ძოაზროვნის, გარეშეა საგნები, კანონზომიერებანი, რომლებიც არც მცდარია და არც ჭეშმარიტი; ის სინამდვილეა, რომელიც ჭეშმარიტებას ადამიანის საშუალებით იძენს. ადამიანი თავის აზროვნებით მიზნად ისახავს სინამდვილის შემეცნებას: ანუ ჭეშმარიტებას და ის ამ მიზნისაკენ მიდის როგორც თითქოს თავისთავადი სიხამდვილისაკენ: ის, რაც შემეცნების შედეგია, გვევლინება, როგორც ამავე დროს შემეცნების წინა პირობა, რადგან შემეცნების ძიზახია.

ხ უ ც უ ბ ი ძ ე. ნუცუბიძემ 1922 წელს გამოსცა წიგნი „ალეთოლოგიური რეალიზმი", რომელშიც განავითარა ჭეშმარიტების თავისთავადობის აზრი. ცნობილია, რომ კანტის ფილოსოფიის გადამუშავების საფუძველზე დაიბადა სხვადასხვა ნეოკანტიანური თეორია, რომელმაც კანტის საგანი თავისთავად გააუქმა და ყველაფერი აზრიდან გამოიყვანა. ნუცუბიძე ამ თეორიებს დაუპირისპირდა და გამოსავალი ამ თეორიების უარყოფაში დაინახა. ნუცუბიძე თავისი ფილოსოფიური თეორიის ამოსავლად ბოლცანოს იღებს. მისი თეორიის აზრი ის არის, რომ შემეცნება გამოიხატება ჭეშმარიტება თავისთავადის ჭეშმარიტებად ჩვენთვის ქცევაში. ნუცუბიძე გამოდის ჭეშმარიტების არსებობიდან, ეს ჭეშმარიტებაა დამთავრებულ მსჯელობაში. გახიხილავს ამ მსჯელობას და აღმოაჩენს, რომ მასში ის არის, რაც საგანია; მსჯელობა „მაგნოლიას თხუთმეტი ყვავილი გაუშლია", მხოლოდ იმის ცხადყოფაა, რაც არის მაგნოლიას მიერ თხუთმეტი ყვავილის გაშლა. მსჯელობა ამაზე მეტს არაფერს არ შეიცავს, მსჯელობამ ის მხოლოდ ჩვენთვის ჭეშმარიტებად აქცია და მსჯელობაში —მაგნოლიას თხუთმეტი ყვავილი გაუშლია, მაგნოლიას არც რამე მომატებია და არც რამე დაკლებია. ის, რაც თავისთავად იყო ჭეშმარიტი, ჩვენთვის გახდა ასეთი. არსი თავისთავად იგივეა, რაც შეცნობილი და შემეცნება არსის გამოვლენაა. ნუცუბიძის თვალსაზრისით შემეცნება მე-სა და არამე-ს შორის არ მიმდინარეობს. შემეცნება მეს მხოლოდ ფსიქოლოგიურად უკავშირდება. შემეცნება არის თავისთავადის გამომჟღავნება და არა ჩვენს მე-ს და არსის შუა ურთიერთობის გამოკვლევა. გამოდის, რომ შემეცნება არსის ის მხარეა, რაშიც ის თავის თავს, როგორც ჭეშმარიტს, გამოხატავს. ნუცუბიძე სუბიექტ-ობიექტს აღიარებს მხოლოდ მანამდე, სანამ შემეცნება არ დამთავრებულა, ხოლო როცა ის დამთავრდება, ორივე იხსნება. ნუცუბიძის აზრით, შემეცნება არ არის სუბიექტში და

ობიექტში და არც მათ მიმართებაში. ობიექტში იმიტომ არ არის, რომ ის თავისთავად არაა შემეცნება, ასევე არ არის ის სუბიექტში: რაც შეეხება მიმართებას, მსჯელობა „მაგნოლიას თხუთმეტი ყვავილი გაუშლია", აქ მათი მიმართება არ არის მოცემული. „მაგნოლიას თხუთმეტი ყვავილი გაუშლია" მსჯელობაა, სუბიექტ-ობიექტი კი სინამდვილის ნაწილებია, არსოლოგიური მოვლენებია.

ნუცუბიძე იმ აზრისაა, რომ სუბიექტი და ობიექტი არ არის შემეცნება, ისინი მისი პირობებია: სუბიექტი აზრის მატარებელია, ობიექტი კი არსია, რომელმაც აზრში თავისი ჭეშმარიტება უნდა გაძლიერებულ. აზრის ჭეშმარიტება თავისთავადია, ის ჭეშმარიტია, იმიტომ კი არა, რომ ის ასე მიაჩნიათ ადამიანებს, არამედ იმიტომ რომ ის ასეთია, ამიტომ ჭეშმარიტება თავისთავად არის საფუძველი ჭეშმარიტებისა ჩვენთვის. ჭეშმარიტება ჩვენთვის პირობაა ჭეშმარიტება თავისთავადისა იმ აზრით, რომ რაიმეზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, თუ ის გააზრებულია. ნიუტონის მიზიდულობის კანონზე შეუძლებელი იყო ლაპარაკი, ვიდრე ის აღმოჩენილი არ იყო. ნიუტონის მიზიდულობის კანონი ნიუტონის მერე არ გაჩენილა, ნიუტონის მიზიდულობის კანონი რომ არ ყოფილიყო ჭეშმარიტება თავისთავად, შეუძლებელი იქნებოდა მისი ჭეშმარიტებად ჩვენთვის ქცევა. ნუცუბიძე თავის თვალსაზრისს შემდეგ უფრო არკვევს და ამბობს, რომ არსი გარკვეულობაა, რომელიც ძირითადია ჭეშმარიტებისა თავისთავად. მაგნოლია და თხუთმეტი ყვავილი, როგორც სინამდვილის ნაწილი, არც ჭეშმარიტება და არც შეცდომაა. ჭეშმარიტება ის ცოდნაა, რაც მათ გამო შეიძლება გქონდეს. ნუცუბიძე გონებს, რომ ეს არსებულზე მეტი, როგორც გარკვეულობა, სინამდვილის გამომხატველია, მისთვის შეიძლება გვეწოდებია ფორმა, რომ მას მეტაფიზიკური დანართი არ ახლდეს, ან ანთროპოლოგიზმის შიშს არ ბადებდეს. სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში შემეცნების საკითხის დაყენება სიძნელეებს ბადებს, რომელთა მოხსნა მის საფუძველზე შეუძლებელია. ეს სიძნელეებია შემდეგი: როგორ არის შესაძლებელი სუბიექტი და ობიექტი ერთმანეთს დაუკავშირდეს, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და შემეცნება მოგვცეს. რაც შეეხება საკითხის იმ გადაწყვეტას, რომელსაც ნუცუბიძე იძლევა, მისი თვალსაზრისით, სიძნელეებს არ შეიცავს, რადგან ჭეშმარიტება თავისთავად და ჭეშმარიტება ჩვენთვის შინაარსით ერთი და იგივეა. განსხვავება ის არის, რომ ერთი ჩვენთვის შეცნობილია, ხოლო პირველი შეუცნობელია და ეს ძეცხობამდე არსებობს. ნუცუბიძე შემეცნების მიმდინარეობი-

სათვის ცნობს მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებას და სწორედ აქ როგორ არის შესაძლებელი მათი ეს კავშირი, რომელიც საბოლოოდ შემეცნების მომცემია, მის მიერ გარკვეულია მის შემდეგ წიგნებში — „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა" და „ფილოსოფია და სიბრძნე".

ნუცუბიძის გაგებით, ჭეშმარიტების სამი სახეა. ჩვენი, ჩვენთვის და თავისთავად ჭეშმარიტება. ჩვენი ჭეშმარიტება ჩვენგან წაძოყენებული დებულებაა, რომელსაც უპირისპირდება სხვა მტკიცება, ისე, რომ ჩვენი ჭეშმარიტება ეკუთვნის დადებით და უარყოფით მსჯელობათა არეს. ეს მოწინააღმდეგე მსჯელობები შეურიგებელ მიმართებაშია. შემეცნება იქ ქმნადობის მდგომარეობაშია. შემეცნება ჭეშმარიტებასთან უნდა მივიდეს. დაპირისპირება უნდა მოიხსნას, მაგრამ ჯერ მისული არ არის და შემეცნება დაპირისპირებაში მოძრაობს. ჩვენი ჭეშმარიტება ის საფეხურია, როცა შემეცნება ჭეშმარიტებისაკენ მიდის, მაგრამ მისთვის ჯერ არ მიულწევია. ამ დაპირისპირებას ბოლო უნდა მოეღოს, რომ დაწყებულ იქნეს ჩვენთვის ჭეშმარიტება. ჩვენი ჭეშმარიტება დადებითი და უარყოფითი მსჯელობების დაპირისპირებაა, ჭეშმარიტება ჩვენთვის კი საგნობრივობის დაპირისპირებულობაა, რომელიც უნდა მოიხსნას, რომ მივიდეთ ჭეშმარიტებასთან თავისთავად. ჭეშმარიტება ჩვენთვის მიყვანილ უნდა იქნეს თავისთავად ჭეშმარიტებამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ჭეშმარიტებიდან ყოველგვარი სუბიექტური წარმოშობის ელემენტი გამოირიცხება, ამით „შესამეცნებელი და შემეცნება ერთი გახდება". ჭეშმარიტება თავისთავადი მსჯელობის შინაარსისაგან დამოუკიდებელია, ხოლო ჩვენი და ჩვენთვის ჭეშმარიტება მსჯელობის შინაარსია და ორივე შემთხვევაში აქ გვაქვს საგანზე მიმართული შემეცნება და ამ მიმართების პირისპირ მდგომი ჭეშმარიტება ჩვენთვის არ ემთხვევა ჭეშმარიტებას თავისთავად; ჭეშმარიტება ჩვენთვის საგნისა და შემეცნების დაპირისპირებულობის მხარეა, ხოლო ჭეშმარიტება თავისთავად არის დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომი, ე. ი. ის არც შემეცნების სუბიექტია და არც მისი ობიექტი, არამედ მათზე მაღლა მდგომი. ჭეშმარიტება არის თავისთავად იმიტომ, რომ იგი სხვასთანაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება თავისთავად არის ჩვენთვის ჭეშმარიტებასთან მიმართებაში. ეს ასე რომ არ იყოს, თავისთავადი ჭეშმარიტება რომ კავშირში არ იყოს ჩვენთვის ჭეშმარიტებასთან, მაშინ ის ჩვენთვის მიუღწეველი იქნებოდა, მაშინ ჩვენ მხოლოდ ჩვენი ჭეშმარიტება გვექნებოდა. შემეცნება არის შემეცნების სუბიექტისა და

ობიექტის დაპირისპირება, არის ჭეშმარიტება, რომელიც ამ დაპირისპირებაზე მაღლა დგას. ეს არის ჭეშმარიტება თავისთავად, რომელიც ჩვენთვის ჭეშმარიტებისაგან დამოუკიდებელი არ არის; მათ შორის არც ლოგიკური მიმართება არ არის, რომლის მიხედვით ერთიდან მეორე გამოვდინარეობს, არამედ იგი არის ჩვენთვის, ჩვენთან. თავისთავად ნიშნავს არა აზროვნების ჩართვას არსებულში, არამედ ეს არის არსისა და აზროვნების შუალედური, რომელიც შესაძლებელს ხდის არსებულში აზროვნების ჩართვას. აზროვნებას და არსებულს შორის ეს შუალედური არე რომ არ იყოს, აზროვნება არსებულს ვერ დაუკავშირდებოდა, ეს შუალედი არის ჭეშმარიტება თავისთავად, რომელიც აზრისა და საგნის დაპირისპირებაზე მაღლა დგას. ჭეშმარიტება თავისთავად არა არსებულია, არა მისი ასახვაა, არამედ ის არის არსებულის ამგვარად ყოფნა. არსებულის ამგვარად ყოფნა არის ჭეშმარიტება თავისთავად. ნუცუბიძის ეს აზრი ძეძდეგს ნიშნავს: ჩვენთვის ჭეშმარიტება შემეცნების ფორმაში — მსჯელობაშია მოცემული. აქედან უნდა მივიდეთ თავისთავად ჭეშმარიტებასთან: ეს იმით განხორციელდება, რომ მსჯელობაში აღმოვაჩენთ ისეთ რამეს, რომელიც არც მსჯელობას ეკუთვნის და არც შემმეცნებელ სუბიექტს. ეს ის არის, რაც მსჯელობის შინაარსია: მასში არსებულია მოცემული, მაგრამ ეს კი არ არის ჭეშმარიტება, არამედ მისი ჭეშმარიტება არსის ამგვარად ყოფნაა. არსი რომ ამგვარადაა და არა სხვაგვარად, იმიტომაა ჩვენი მსჯელობა ჭეშმარიტი. მსჯელობის ჭეშმარიტება განისაზღვრება თავისთავადი ჭეშმარიტებით, ხოლო ეს ნიშნავს არსის ამგვარად ყოფნას; არსის ამგვარად ყოფნა რომ არ იყოს მოცემული, მაშინ მსჯელობა ხომ მცდარი იქნებოდა. მსჯელობა იმიტომაა მცდარი, რომ მასში ჭეშმარიტება არ არის, მასში ჭეშმარიტება არ არის იმიტომ, რომ არსის ამგვარად ყოფნა არ არის. ეს უკანასკნელია, ნუცუბიძის გაგებით, ჭეშმარიტება თავისთავად. ჭეშმარიტ მსჯელობაში არსის ამგვარად მყოფობაა მოცემული; ჩვენ მასში სწორედ არსის ამგვარ მყოფობას ვიღებთ და არა თვით მსჯელობას. ეს უკანასკნელი რაღაც საჭვრეტია, საიდანაც არა თვით მსჯელობას ვჭვრეტთ, არამედ არსის ამგვარად ყოფნას. შემეცნება მიდის შინაარსობრივიდან უშინაარსოსაკენ. ე. ი. რაც მას შინაარსად აქვს, იმაში უნდა გადავიდეს, რაც არსებულის ამგვარად ყოფნაა. ჩვენთვის ჭეშმარიტება შინაარსიანია იმით, რომ დადგენილი მსჯელობა შინაარსის მქონეა, ამის განჭვრეტით უნდა მივიდეთ უშინაარსოსთან. ამგვარად ყოფნას საკუთარი შინაარსი არა აქვს იმიტომ, რომ ის სხვისი და-

ბასიათებაა და სხვას ეკუთვნის. საგნის შემეცნება ჭეშმარიტება უხდა იყოს და ამ დროს ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ჩვენთვის. ნუცუბიძე წერს, რომ „ეს შემეცნება გულისხმობს იმას, რომ შესაცნობი ამით პირველად არ წარმოიშობა, არამედ ის ადრე არსებობს". ამის საფუძველზე ნუცუბიძე ამბობს, რომ „ჭეშმარიტება თავისთავად" არის როგორც მიზანი, ისე წანამძღვარი შემეცნებისა, იმით, რომ, ჩვენ, ადამიანები, შემეცნებას ვიწყებთ: პირველად არ იქმნება ის, რაც უნდა შემეცნებულ იქნეს"[4]. ნუცუბიძე ჭეშმარიტების შემეცნებას ამყარებს სპეციფიკურ-ადამიანურის ცნებაზე, რისგანაც განსხვავდება სპეციალურ-ადამიანური. პირველი ისეთი რამაა, რომლის გადალახვა ადამიანს არ შეუძლია, ეს არის მისი პიროვნების წყობა, ხოლო სპეციალურ-ადამიანური ისაა, რომლის გადალახვა ადამიანს შეუძლია, რომელიც ჭეშმარიტების შემეცნებაში მას ეღობება და ამიტომ მან შემეცნებისაკენ მიმავალი გზა უნდა გაწმინდოს სპეციალურ-ადამიანურისაგან. სპეციფიკურ-ადამიანური მაინც ხომ ადამიანურია და როგორ არის შესაძლებელი, ის მისწვდეს იმას, რაც ზეადამიანურია, რაც თავისთავადია? ეს, ნუცუბიძის გაგებით, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ადამიანის აზროვნება და სინამდვილე რაღაც საერთო კანონების ქვეშ დგანან. ესენი ის კანონებია, რომლებსაც ჩვეულებრივად აზროვნების პრინციპს უწოდებენ და რომლებიც არსებულზე და აზროვნებაზე მაღლა დგანან, იმიტომ რომ ისინი არც მხოლოდ აზროვნებას, და არც მხოლოდ არსებულს არ ეკუთვნიან. ისინი არ არიან არც ონტოლოგიური და არც ლოგიკური.

შემეცნება უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი სუბიექტურისაგან, ადამიანურისაგან. მსჯელობაში ჩვენ ადამიანს კი არ ვეკვრეტთ, არამედ არსს. არსის ეკვრეტა არის ჭეშმარიტება თავისთავად, სხვანაირად, ჭეშმარიტება თავისთავად არის არსის ამგვარად არსებობა და მასში არ შეიძლება სუბიექტური რამე ერიოს. ნუცუბიძის ბრძოლა ნეოკანტიანელების წინააღმდეგ მიმართულია იქითკენ, რომ ჭეშმარიტება გაიგოს არა როგორც ადამიანის აზროვნების შექმნილი, არამედ ისეთი რამ, რაც მის აზროვნებას წინ უსწრებს. ამგვარად, შ. ნუცუბიძის ჭეშმარიტების თეორია რაღაც იდეალისტურსა და მისტიკურს არ შეიცავს, რადგან არსის ამგვარობა ნამდვილად მისი შემეცნების წინა და აუცილებელი პირობაა[5].

---

4 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, შრომები, II, გვ. 180.

5 ამ საკითხის შესახებ იხილეთ პროფ. ბ. ურიდიას წიგნი: შ. ნუცუბიძე, „შემეცნების თეორიისა და ლოგიკის პრობლემების შესახებ".

ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორია: ამ თეორიის ფუძემდებელი არისტოტელია. ამ თეორიის არსება იმაში მდგომარეობს, რომ მსჯელობას და მის საგანს შორის შესაბამისობაა. მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ მისი შესაბამისი საგანი არსებობს, ხოლო მცდარია, თუ მისი შესაბამისი საგანი არ არის. არისტოტელე. თავის ნაშრომში „კატეგორიები", არსების კატეგორიასთან დაკავშირებით ამ საკითხს ეხება და ამბობს, რომ ორი ერთიმეორის უარმყოფელი მსჯელობა—„სოკრატე არის ჯანმრთელი" და „სოკრატე ჯანმრთელი არ არის" — ორივე მცდარი იქნება, თუ სოკრატე არ არის, ხოლო თუ სოკრატე არის, მაშინ ერთ-ერთი ჭეშმარიტი იქნება. ერთ-ერთი კი მცდარი. თუ ვიტყვით, რომ ადამიანი ზის, ეს მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ მართლაც ვინმე ზის; ხოლო როცა ის აადგება, იგივე მსჯელობა მცდარი იქნება; მაშ., არისტოტელეს აზრით, მსჯელობის ჭეშმარიტება და მცდარობა დამოკიდებულია იმისაგან, რაც არის და რაც არ არის ისე, რომ არისტოტელე შეიძლება ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორიის პირველ წარმომადგენლად ჩაითვალოს.

ჩვენს დროში ამ თეორიის წარმომადგენლებია მური და რასელი. რასელის აზრით, ჭეშმარიტებაში მონაწილეობს ფაქტი, რწმენა და მსჯელობა. რწმენა არის ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტი და შეიძლება მცდარი იყოს. რწმენა ჭეშმარიტია, თუ მისი საგანი ნამდვილად არსებობს ადამიანის გარეშე, ხოლო თუ რწმენის საგანი არ არის, მაშინ რწმენა მცდარია; რწმენა მსჯელობაშია გამოხატული, რომელიც რაიმე ფაქტს, რაიმე ვითარებას გამოხატავს; თუ მსჯელობაში გამოთქმული ფაქტი, ვითარება მსჯელობის გარეშე ნამდვილად არსებობს, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია, ხოლო თუ არ არსებობს, მაშინ ის მცდარია. მსჯელობა შეიძლება ჭეშმარიტი ან მცდარი იყოს, თუნდაც ის არავის არ სწამდეს, ხოლო თუ ის ვინმემ იწამა, ის ჭეშმარიტია ან მცდარი. რასელის აზრით, მსჯელობა რწმენის გარეშე არსებობს და რწმენა მსჯელობაშია ჩაქსოვილი, ფაქტის შესახებ. ანუ იმაზე, რაც არის და რაც ხდება, მსჯელობის ჭეშმარიტება საიმედო და უტყუარია. მსჯელობის ჭეშმარიტება შეიძლება შემოწმდეს და დადასტურდეს იმის არსებობა, თუ არარსებობა, რაც მსჯელობაშია გამოთქმული.

მსჯელობის ჭეშმარიტების საკითხი რთულ სახეს იღებს, მაშინ როცა საქმე ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტებას ეხება. რასელის აზრით, აქ ფაქტის აღქმა და მისი შემოწმება მიზანს მიუღწეველია, რადგან ზოგადი ფაქტი არ არის, ის მოცემული არ არის; ყოველთვის

შესაძლებელია ისეთი ფაქტი აღმოჩნდეს, რომელიც მოცემული ზოგადი მსჯელობის უარყოფა იქნება. რასელის გაგებით, მისი დამტკიცება უტყუარად ცდით არ შეიძლება, იმიტომ, რომ ცდა ერთეულია და არა ყოვლისმომცველი, მისი დამტკიცება დედუქციური გზით არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს გზა არის ანალიზური, ეს იმას მოგვცემს, რაც ფარულად შემეცნებაშია მოცემული, საკითხი კი ეხება ისეთი რამის მიღებას, რაც ძალის და მნიშვნელობის მქონეა იმისათვის, რაც მოცემული არ არის: ასეთი გზა უნდა იყოს სინთეზური, ანუ დასკვნის საშუალებით გასვლა უნდა მოხდეს მოცემულიდან იმაზე, რაც მოცემული არ არის. ასეთი დასკვნა კი უტყუარი არ არის, ის არის მხოლოდ საალბათო; ამიტომ, რასელის აზრით, აქ უფრო საეჭვო მსჯელობის მიღების საფუძველია, ვიდრე უტყუარის, ასეთი ვითარება შემეცნებაში სკეპტიციზმის საფუძველია.

სკეპტიციზმისაგან ხსნას იძლევა ის თეორია, რომელიც გამოდის შეფარდებითი ჭეშმარიტებისა და შეფარდებითი მცდარობის ერთიანობიდან. დასკვნა, რომელიც მომავალი ფაქტების შესახებ მცდარი აღმოჩნდება, სრულიად მცდარი არ იქნება, არამედ მასში შეფარდებითი ჭეშმარიტებაც იქნება და შემეცნების განვითარება წარმოვიდგება როგორც შეცდომისაგან თანდათანობით განთავისუფლება. ეს თეორია ასახვის თეორიისაგან იმით განსხვავდება, რომ აზრი საგანთან მიმართებაში ასახვას არ სცნობს, ის მათ შორის მხოლოდ შესაბამისობას აღიარებს.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა.

შესაბამისობის თეორიის ნაირსახეობას შესრულების თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის ფუძემდებელია რამსეი. მან თავის წიგნში „მათემატიკის“ დაფუძნება“ — ერთი თავი „წინადადება და ფაქტი“ ამ საკითხის განხილვას მიუძღვნა. საკითხი ფაქტისა და ჭეშმარიტების მიმართებას ეხება. ფაქტი და ჭეშმარიტება სხვადასხვაა, ფაქტი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ეს ფაქტი მსჯელობითია გამოთქმული. „წიგნზე დანა დევს“ მსჯელობას ეუმატებთ „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“. რამსეი სწორად აღნიშნავს, რომ ეს გამოთქმები წინადადებას მიეწერება და არა ფაქტს. გამოთქმები „ჭეშმარიტია“, „მცდარი“ საგნის შესახებ არაფერს არ ამბობენ. რასელის აზრით, ისინი სრულიად ზედმეტია: ამიტომ გამოთქმა „ჭეშმარიტია, რომ ცეზარი მოკლეს“. ნიშნავს, სხვა არაფერს, გარდა იმისა, რომ თქმულია „ცეზარი მოკლეს“; რამსეის მერე ამ აზრის გამგრძელებელია სტროუსონი. მისი აზრით, ჭეშმარიტი და მცდარი არა თუ ფაქტს არ გამოსახავს, არამედ ის არც მსჯელობის ჭეშმარიტებას და მცდა-

რობას გამოხატავს. ამიტომ მისი გაგებით ის არ არის მსჯელობის შეფასება, იგი მცდარია თუ ჭეშმარიტი, მისი გაგებით, ეს იგივეა, რაც ინგლისური სიტყვა „დიტოუ", რაც ნიშნავს იმის აღნიშვნას, რომ რაღაც მსჯელობა შესრულდა და იმის დადასტურებაა, რომ ეს და ეს მსჯელობა არის, ანუ სხვანაირად, ეს არის თანხმობა იმ მსჯელობაზე, რომელიც გამოთქმულია, თუ ერთი გამოთქვამს მსჯელობას „მე თქვენთვის ვწერ წიგნს", მეორე იტყვის კარგი — მადლობელი ვარ, აქ იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომ რასაც ის ამბობს მართალია თუ არა, არამედ მეორე მას ღებულობს და ის მხოლოდ შესრულებულ მსჯელობას აღიარებს; სტროუსონი შეიძლება მართალია იმაში, რომ არის ისეთი მსჯელობები, რომელშიც ჭეშმარიტება — მცდარობის მოთხოვნა არ არის. მაგრამ რომ თვით ეს მსჯელობებიც მას გაუტოლოს, ეს სრულიად მცდარია. მეცნიერებაში მსჯელობები ამ ორი გამოთქმის გარეშე არ იარსებებს.

მსჯელობებს აუცილებლობით თან ახლავს გამოთქმები „ჭეშმარიტი", „მცდარი". თუ მაგალითად, ადამიანმა მეორე ადამიანს რამე დაუშავა, მეორე პირველის წინაშე ბოდიშს მოიხდის და ეტყვის, „მე ბოდიშს ვიხდიო". ეს არის შესრულების მსჯელობა, რომელზეც პირველი იტყვის დასტურს ყოველგვარი ჭეშმარიტება მცდარობის გარეშე, მაგრამ ყველა მსჯელობა და, კერძოდ, მეცნიერული მსჯელობები ხომ ასეთი არ არის.

ჭეშმარიტი და მცდარი მსჯელობების ისეთი ნაწილები არ არის, როგორც სუბიექტი პრედიკატი და კოპულა — მაგრამ, რადგან მსჯელობა თავისთავად ან ერთია, ან მეორე, გამოთქმები ჭეშმარიტი და მცდარი—მსჯელობის ჭეშმარიტება—მცდარობის ჩვენთვის ცხადყოფაა. ჭეშმარიტი და მცდარი მეცნიერული მსჯელობის აუცილებელი შემადგენლებია. ყოველი მეცნიერული აზრი წინააღმდეგობაში მოძრაობს და მოწინააღმდეგე აზრები იბადება, რომელთაგან ან ერთია ჭეშმარიტი, ან მეორე; მაგრამ ეს ნიშანი ამ მსჯელობებს ზედ არ აკერია, ეს მსჯელობები უნდა შემოწმდეს და ამით უნდა დადგინდეს მათი ჭეშმარიტება. ერთი მსჯელობა მეორისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის ჭეშმარიტია, ხოლო მისი უარმყოფელი მცდარია. ამიტომ ჩვენი მტკიცების შედეგი იმით უნდა გამოიხატოს, რომ ერთ-ერთი ჩაითვალოს ჭეშმარიტად. ჭეშმარიტი ისეთი აზრია, რომელიც საგანს ისე გამოხატავს, როგორც არის და სწორედ ამის გამომთქმელია ის, რომ ის არის ჭეშმარიტება. ეს გამოთქმა მსჯელობას მიეწერება მისი დასაბუთებისა და დადას-

ტურების მერე. მას ესენი აქვს წანამძღვარად და ამ მსჯელობის ჭეშ-მარიტება მათ ემყარება. თუ ორი ერთმანეთის უარმყოფელი მსჯელობა გვაქვს უშუალოდ, არც ერთი არ ჩანს, ჭეშმარიტია თუ მცდარი; ეს დასაბუთება-დადასტურებით ხდება ნათელი და გამოთქმა „ჭეშმარიტება“ ამის საბოლოო შედეგია. მაშასადამე, ჭეშმარიტება და მცდარობა არა მსჯელობის შესრულების ალიარებაა, არამედ, იმისი, რომ ერთი სინამდვილის გამომთქმელია, ხოლო მეორე არა. მსჯელობა რომ გამოითქმება, ცხადია, ის შესრულებულია, მაგრამ ჭეშმარიტია თუ მცდარი, შეეხება არა იმას, რომ მსჯელობა შესრულებულია, არამედ ის ეხება მსჯელობის ღირებულებას, ის საგნის გამომთქმელია თუ არა.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი ს თ ე ო რ ი ა[6]. ჩვენს დროში ამ თეორიის ფუძემდებელია ბრედლი. ჯერ კიდევ კანტი აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტების საგნობრივი საზომი არ არის, მისი მიღება წინააღმდეგობრივიაო და ის თეორიის საზომად ლოგიკურ მთლიანობას, უწინააღმდეგობას სცნობდა; ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ბრედლი მისი გამგრძელებელია; მასთანაც არსებითი ის არის, რომ სისტემა წინააღმდეგობას არ უნდა შეიცავდეს, ის უნდა იყოს მსჯელობების ისეთი ქსელი, რომელიც თავის შიგნით წინააღმდეგობას არ უშვებს. ბრედლი ალიარებს დებულებას, რომლის მიხედვით, შემეცნება შედგება ორი მხარისაგან: პირველია შეგრძნებები, აღქმები და მეორე აზრთა თანმიმდევრობა, ანუ ლოგიკურობა. მისი აზრით, თეორიული სისტემა ამ ორი მხარის გარეშე არ არის. შეგრძნება და აღქმა არის ის წყარო, რისგანაც შემეცნება მასალას ღებულობს, მაგრამ ის იმას ამტკიცებს, რომ აღქმები, შეგრძნებები სინამდვილის ასახვა არ არის. აღქმა არ არის ფაქტის ასახვა; მისი აზრით, რასაც ფაქტი ეწოდება, არის განყენების შედეგი; ის არის გონების ქმნილება. გონება მთელისაგან ერთ რომელიმე მხარეს განაყენებს და მას, როგორც ნამდვილ საგანს, ისე განიხილავს. ის აზრი, რომ აღქმული ზუსტად მსჯელობაში შედის, მცდარი აზრია. აზროვნება მისგან განყენებას ახდენს, და, ამდენად, შეცდომა ყოველთვის შესაძლებელია[7].

ჩვენი აღქმები ალბათურია, მათი ჭეშმარიტება აღქმელი პიროვნებისაგანაა დამოკიდებული, რომელიც ყოველთვის გარკ-

---

6 თანმიმდევრობის შესაბამისობის და შესრულების ჭეშმარიტების თეორიებზე იხილეთ პროფ. რ. კვიციანაძის წიგნი „Понятие истины и Альтернатива в теории познания“.

7 F- H. Bradly: Essays on Iruth and Reaility Oljord, 1914.

კვეულ პირობებში იმყოფება. პიროვნების გონითი წყობა ალქმის საფუძველია და ალქმითი ფაქტი ჩვენს სამყაროს წყობას უნდა შეესაბამებოდეს. როცა ჩვენ ვამბობთ „ეხლა“, „აქ“, „ან“ და სხვა მათ ვერ ავსახავთ, ისინი ჩვენს აზროვნებაში მათი ზოგადი მხარით შემოდიან და აქ შეცდომა აუცილებელია. ისე რომ, ბრედლის აზრით, ალქმა საგნის ასახვა არ არის, იგი, საერთოდ ასახვის თვალსაზრისს უარყოფს; როგორ შეიძლება შემეცნებაში აისახოს წარსული, რომელიც აღარ არის. ან მომავალი, რომელიც ჯერ არ არსებობს. ის, რასაც მე აღვნიშნავ, ამბობს ბრედლი, შეუძლებელია ჩემს მსჯელობაში შემოვიდეს, ჩემს მსჯელობაში აზრითი პასუხია იმაზე, რასაც მე ვგრძნობ, თუ შევიგრძნობ, მაგრამ მას არ შეუძლია ჩემი გრძნობის გადატანა, ამიტომ ის შეცდომის შესაძლებლობის შემცველია.

ბრედლი წინააღმდეგია იმ აზრისა, რომელიც ჭეშმარიტებას შემეცნებისაგან ჰყოფს და შემეცნებას სინამდვილისაგან, ის უარყოფს მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განხილვას. შეუძლებელია ჭეშმარიტების დამტკიცება, რომელიც შემეცნებისაგან გარეგანია და როგორ შეიძლება არსებობდეს შემეცნება, რომელიც სინამდვილისაგან გარეგანია. ჭეშმარიტება სინამდვილის აზრითი ფლობაა და შეუძლებელია ის აზრისაგან დამოუკიდებელი იყოს. ჭეშმარიტება სინამდვილის იდეალური გამოხატვაა და შეუძლებელია ის სინამდვილის გარეშე იყოს. ე. ი. ბრედლის აზრით. რაკი ჭეშმარიტება სინამდვილის იდეალური გამოთქმაა, ამით ჭეშმარიტება სინამდვილეს შეიცავს და ის ამის გარეშეც არ არის. ბრედლი კიდევ უბრუნდება სინამდვილის ასახვის საკითხს ჭეშმარიტების ცნებასთან დაკავშირებით და ამბობს: მოცემული ფაქტი უბრალოდ მოცემული არ არის, ის, როგორც მოცემული, ჭეშმარიტებას შეიცავს, რაკი მოცემული ფაქტი უკვეა ჭეშმარიტება, მაშინ მისთვის კიდევ ჭეშმარიტების მიწერა გაუგებარია, მე არ შემიძლიან ჭეშმარიტება დავიცვა, რომელიც შემეცნების იქითაა, ჭეშმარიტებამ ფაქტი უნდა ასახოს; მეორე მხრივ, ფაქტი რომ აისახოს, ის უკვე ჭეშმარიტება უნდა იყოს. ასეთი დახლართული ვითარებიდან იმაშია გამოსავალი, რომ ჭეშმარიტებისა და სინამდვილის იგივეობა ვცნოთ.

რაკი აბსოლუტურად შეუმცდარი ფაქტი არ არის, ამიტომ მასზე მითითება შემეცნების ნაკლი იქნება; შემეცნებისა და ჭეშმარიტების საზომი არა ფაქტია, არამედ აზრის შინაგანი თანმიმდევრობა. შემეცნება მოწესრიგებული და წინააღმდეგობისაგან

თავისუფალი უნდა იყოს, ამის გარეშე ის ქაოსს წარმოადგენს. რაც შეეხება ფაქტისა და სისტემის დამოკიდებულებას, ბრეიდლი ამაზე შემდეგი აზრისაა: რაკი შეუმცდარი ფაქტი არ არის, ამიტომ ყველა ფაქტის მიღება შეუძლებელია. ფაქტი სისტემას უნდა შეუთანხმდეს, ფაქტი მოქმედია, რამდენადაც ის ცდის მოწყობას ხელს უწყობს. ფაქტი ჭეშმარიტია, თუ ჩემს სამყაროში სისტემა მომცა, თუ არა და მცდარია: აბსოლუტურად სწორი ფაქტი არ არის. შეგრძნებები, აღქმები შეუმცდარი არ არის და არ არის გზა, რომელიც მათი შეფარდებითი შეუმცდარობიდან აბსოლუტურ შეუმცდარობამდე მიგვიყვანს. რაკი აღქმითი ფაქტი ასეთია, შემეცნება არა მას, არამედ აზრის თანმიმდევრობას უნდა დაემყაროს. თუ ფაქტი სისტემას ეწინააღმდეგება, ის სისტემას უნდა შეუთანხმდეს: თუ ფაქტი ძალიან ეწინააღმდეგება სისტემას, მაშინ ის დებულება, რომელიც ფაქტს ეწინააღმდეგება, უარყოფილ უნდა იქნეს და ჩვენი სისტემა ხელახლა უნდა დავაფუძნოთ. წინა ფაქტი, რომელიც სისტემაში იგულისხმებოდა, უარვყოთ და ახალი ფაქტი სისტემაში შევათანხმოთ.

ბრეიდლი მართალია. რომ შეგრძნებები, აღქმები არც სრულ ჭეშმარიტებას იძლევიან და არც თავის საზღვრებში შეუმცდარნია, მაგრამ თვით იმის აღნიშვნა, რომ ისინი შეცდომას შეიცავენ, ხომ იმასაც გვაჩვენებს, რომ ამით, ვიცით, რაც არ არის შეცდომა და მათი მონაცემები შეიძლება დაზუსტდეს, შეცდომის აღნიშვნით ჭეშმარიტებაზე გადასვლა მოხდეს. ეს რომ არ იყოს, არც გვეცოდინებოდა. რა არის ჭეშმარიტი და რა არის მცდარი, ამიტომ შეგრძნება აღქმებისადმი, ასეთი უნდობლობა სრული საფუძვლის მქონე არ არის. მათი მონაცემები მოწმდება და აღმოჩნდება, თუ რაში იყო სიმცდარე და ის შემდეგ საფეხურზე სწორდება. რაც შეეხება თანმიმდევრობას, ანუ აზრის შინაგან წყობას, ამაში ბრეიდლი მართალია. რომ მეცნიერება ამის გარეშე არ არის, აზრის მთლიანობა მეცნიერების აუცილებელი ნიშანია, მაგრამ მასთან ეს მხარე გაზვიადებულია და მეცნიერული შემეცნების ასებადაა ქცეული. ნამდვილად კი აზრის მთლიანობა ლირებულია, თუ ის ამასთან ერთად საგნების კავშირების გამომხატველია. საგნები ერთმანეთთან კავშირშია და მეცნიერულმა სისტემამ ეს კავშირები უნდა გამოხატოს ისე, რომ თეორიული სისტემა, რომელიც აზრების შინაგან ლოგიკურ კავშირს წარმოადგენს, თავისთავად არსებული კავშირების გამომხატველია, ამის გარეშე სისტემას ლირებულება არა აქვს.

---

## II თავი

# ჭეშმარიტების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია

### 1. ობიექტური ჭეშმარიტება

ჭეშმარიტება შემეცნების თეორიის ღერძული საკითხია, ამის ირგვლივ სხვადასხვა თეორიებია. ძირითადად აქ სამი მიმართულებაა;

1. ობიექტურ-იდეალისტური, 2. სუბიექტურ-იდეალისტური და 3. მატერიალისტური. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, პირველი მიმართულება ჭეშმარიტებას აღიარებს, როგორც ადამიანური შემეცნებისაგან დამოუკიდებელს, რომელიც მარადიულია და საგნების არსებობისაგან არ არის დამოუკიდებელი. ასეთია, მაგალითად, ჰუსერლის თეორია, მეორე მიმართულება ჭეშმარიტების თავისთავადობას უარყოფს და მისი აგებით ყოველ ადამიანს თავისი ჭეშმარიტება აქვს. ასეთია; მაგალითად, პრაგმატიზმი. მესამე მიმართულების მიხედვით, ჭეშმარიტება თავისთავადია, რამდენადაც მისი არსებობა ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული. არსებობს საგნები და ადამიანის მიერ ხდება ამ საგნების შესახებ აზრების დადგენა, ადამიანის მიერ საგნებზე აზრების დადგენა არის ობიექტური ჭეშმარიტება.

ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსის, არსებობით სინამდვილე არა მხოლოდ უბრალო არსებობას ფლობს, არამედ ის შემეცნების საგანიცაა. ადამიანი ისეთი არსია, რომელსაც შეუძლია საგნებზე აზრები შექმნას, ისინი თავისაგან გამოყოს და განიხილოს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით; ადამიანი მუდმივად იმყოფება სინამდვილესთან შემეცნებით დამოკიდებულებაში და ამიტომ ის მუდმივად იმყოფება ჭეშმარიტება-მცდარობის არეში. ჭეშმარიტება აზრია, ხოლო ეს ადამიანის გარეშე არ არსებობს. საგანი, რაზეც ადამიანის აზრია მიმართული, არც მცდარია და

არც ჭეშმარიტი, ის არსებულია ან არარსებული, აზრი კი ორივეს ეხება როგორც არსებულს ისე არარსებულს. აქ არარსებულის ქვეშ იგულისხმება ის, რომელსაც საგანთა რიგში ადგილი არა აქვს, და ადამიანის წარმოსახვის შედეგია. მაგალითად, ცხრათავიანი ადამიანი, ან ფრთოსანი ადამიანი, რაც შეეხება თვითონ წარმოსახვას, ის არსებობს სხვა წარმოსახვათა რიგში.

მოაზროვნე არსის დამოუკიდებლად, საგნები, ფიზიკური თუ ქიმიური, ბიოლოგიური თუ გეოლოგიური, არსებობენ, მაგრამ ისინი ჭეშმარიტების შინაარსად მაშინ იქცევიან, როცა მათდამი მოაზროვნე არსი იქნება მიმართული, რომელიც მსჯელობებს გამოთქვამს. ისე როგორც მთვარეს მზის გარეშე სინათლე არა აქვს და ის მხოლოდ მისგან ღებულობს მას, ასევე საგნები ჭეშმარიტების შინაარსად არსებობას მხოლოდ მოაზროვნე არსისაგან ღებულობენ. ჭეშმარიტება ისეთი აზრია, რომელიც საგანს ისე გამოხატავს, როგორც ის არსებობს. ადამიანს მოცემული აქვს, ერთი მხრივ, საგანი, ხოლო, მეორე მხრივ, მასზე შემუშავებული აზრი; ამიტომ ადამიანს შეუძლია აზრი და საგანი, რაზეც აზრია მიმართული, ერთმანეთს შეადაროს და გაარკვიოს, საგნის ის ნიშნები, რაც მსჯელობაშია მოცემული, მას ნამდვილად აქვს თუ არა, თუ მსჯელობაში მოცემული საგნის ნიშნები იგივეა, რაც საგნის ნიშნები, მაშინ მსჯელობა ჭეშმარიტია, ხოლო ამის გარეშე მსჯელობა მცდარია, მაშასადამე, აზრი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი; ესენი აზრის ნიშნებია, ის, რაც აზრშია გამოხატული, საგნის ნიშნებია; საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება, რომ აზრი, რომელიც განფენილი არ არის, განზომილების მქონე არ არის და, საერთოდ სხეულებრივი არ არის, იმას გამოხატავს, რაც ამ ნიშნების მქონეა, ისეთია, რომელიც შეუძლებელია ცდის საფუძველზე გადაწყდეს. ადამიანი ამ შემთხვევაში გამოდის საგნისა და აზრის შესაბამისი დამოკიდებულების არსებობიდან და ამიტომ არის აზრი ასეთი უნარის მქონე, თორემ ამის გარეშე შემეცნება, როგორც არსებული, შეუძლებელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია აზროვნების არსებობაში და მისგან შესრულებულ შემეცნებაში დავეეჭვდეთ, რადგან ეს არის უშუალოდ მოცემული. რაკი აზრი მისგან განსხვავებულ საგანს ეხება და მას გამოხატავს, ასეთი აზრის არსებობა ნებისმიერი არ არის, ის თავისთავადია; აზრი, როგორც თავისთავადი საგნის გამომხატველი, ობიექტური ჭეშმარიტებაა.

აზრი არა მხოლოდ ისეთ საგანზეა მიმართული, რომელიც

აზრისაგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორც ფიზიკური საგანი, არამედ ის შეიძლება მიმართული იყოს ადამიანის სულიერ მოვლენებზე. შეგრძნებებზე, წარმოდგენებზე და, საერთოდ, ფსიქიკურ მოვლენებზე. რომლებიც ადამიანის გარეშე არ არსებობს, ის შეიძლება მიმართული იყოს ზღაპრებზე, ანუ არარსებულ საგანთა შესახებ თქმულებებზე და, საერთოდ, არარსზე; შეიძლება შეიძლება მიმართული იყოს ყველანაირ საგანზე, ოღონდ ის რაიმე სახის არსებობას უნდა ფლობდეს. მსჯელობა „აზრი საგნის ასახვაა, ისე როგორც ის არის", ისეთი აზრია, რომელსაც ისევ აზრი აქვს საგნად. აქ აზრის საგანი არა აზრის გარეშეა, არამედ ისევ აზრშია, მაგრამ ის აზრისათვის მოცემულია როგორც არსებული, „მსჯელობა ყოველი არსებული საგანი არარსის შემცველია". აქ არარსებობა რაღაცნაირად არსებობს და ის მსჯელობის საგნად არის ქცეული. მოკლედ, ჭეშმარიტებაა აზრი, რომელიც რაიმენაირად არსებულ საგანს გამოხატავს, ისე როგორც ის არსებობს. მსჯელობა „ცხება საგნის არსებით ნიშნებს გამოხატავს", აზროვნებაში არსებულ საგანს ეხება, მაგრამ ის ჭეშმარიტია, იმიტომ, რომ ის ცნებას როგორც არსებულს ისე გამოხატავს, როგორც ის არსებობს. საგნის შესახებ აზრის ჭეშმარიტება ადამიანის სურვილისაგან, მისი ზნეობრივი შეხედულებებისაგან სრულიად დამოუკიდებელია, რადგან მან საგანი ისე უნდა გამოხატოს, როგორც ის არსებობს. ჩვეულებრივ ლაპარაკია ხოლმე იმაზე, რომ ჭეშმარიტება ობიექტურია, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ის ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებელია: შეუძლებელია სუბიექტური ჭეშმარიტების არსებობა. რაკი ჭეშმარიტება არსის აზრში გამოხატვაა, შეუძლებელია ის მხოლოდ რომელიმე ადამიანისათვის იყოს ჭეშმარიტი, მას ზოგად-საყოველთაო მნიშვნელობა აქვს. ჭეშმარიტება ზეპიროვნულია და ის პიროვნების ფარგლებში ვერ ეტევა.

ჭეშმარიტება თავისი შინაარსით ობიექტურია, რადგან აზრი მისთვის მოცემული საგნითაა განსაზღვრული. ხოლო თავისი ფორმით ის სუბიექტურია, რამდენადაც ის სუბიექტის მიერაა შექმნილი. ჭეშმარიტება მარტო დადებითი მსჯელობით არ გამოიხატება, ის უარყოფითი მსჯელობითაც არის გამოხატული. მსჯელობა „აზრი არ არის განფენილი" უარყოფითი მსჯელობაა, მაგრამ ის ჭეშმარიტებაა, რადგან გამოთქვამს აზრის იმ მხარეს, რომელიც მას ნამდვილად არა აქვს. დადებითი მსჯელობით ჭეშმარიტება გამოითქმება საგანზე, როგორც არსებულზე, უარყოფითი მსჯელობით კი როგორც — არარსებულზე. ან როგორც ისეთ ნიშანზე, რაც არსს არა აქვს. არსი

და არარსი ერთმანეთის საპირისპიროა; არსებული იმით არის გარკვეული, რომ ის თავისთავად გამორიცხავს იმას, რაც ის არ არის და ის ამ გამორიცხვას მუდმივად თავისში ატარებს, ამიტომ ის ამ უარყოფით არსებობს და, ამდენად, მისი მსჯელობით გამოთქმა შესაძლებელია. ერთი რომ არ არის მეორე, ეს ურთიერთგამორიცხვა თითოეულის დამახასიათებელია და რაკი ამ დადებითით არის უარყოფითი, ამიტომ საგანი შეიძლება უარყოფითი მსჯელობითაც გამოითქვას. საგანი რაც არ არის, ეს ასეა იმიტომ, რომ ის დადებითად არის გარკვეული, ყველაფერს თავის საწინააღმდეგოს თავისიდან გამორიცხავს. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი მსჯელობა ჭეშმარიტია იმით, რომ ის იმის უარყოფაა, რაც საგანი არ არის და გაურკვეველი რჩება, თუ საგანი ნამდვილად რა არის, ამიტომ მისი სრული გამოკვლევისათვის ის დადებით მსჯელობაში უნდა გადავიდეს, ანუ დადებითი უნდა გამოიხატოს.

ყოველი მეცნიერება ჭეშმარიტ მსჯელობათა გაბმული ქსელია: ჭეშმარიტ მსჯელობათა შორის არის ლოგიკური კავშირი. ანუ მოცემული ჭეშმარიტი მსჯელობიდან ახალი ჭეშმარიტი მსჯელობა გამომდინარეობს. ჭეშმარიტების საპირისპირო ცნებაა მცდარობა. ჭეშმარიტი მსჯელობის გვერდით მცდარი მსჯელობაც არსებობს: თუ ჭეშმარიტი მსჯელობა საგანს ისე გამოთქვამს, როგორც ის არის, მცდარი მსჯელობა სწორედ იმიტომაა მცდარი, რომ ის საგანს ისე გამოთქვამს, როგორც ის არ არის. „ატომი არ არის მატერიალური", უარყოფითი მსჯელობაა და ამავე დროს მცდარი, რადგან ატომზე იმას გვაცნობს, რაც ის არ არის. შეცდომა დადებითი მსჯელობითაც გამოითქმება — „აზრი არის განფენილი" — დადებითი მსჯელობაა და მცდარი, რადგან ის საგანს ისე გამოთქვამს, როგორც ის არ არის. ჭეშმარიტება ზოგად-საყოველთაო ხასიათისაა, ის არ შეიძლება მხოლოდ ზოგიერთისათვის იქნეს გაზიარებული, მაგრამ აზრი ჭეშმარიტებას ამ ზოგადსაყოველთაობის მიხედვით კი არ ღებულობს, არამედ ზოგადსაყოველთაობა არის შედეგი აზრის ჭეშმარიტების. აზრი იმიტომ არის ზოგადსაყოველთაო, რომ ის ჭეშმარიტია.

მსჯელობა „ატომი შედგება გულისა და ელექტრონებისაგან" ჭეშმარიტებაა, ის ყველასგანაა აღიარებული. მისი ჭეშმარიტება არა ამ აღიარების შედეგია, არამედ მისი ჭეშმარიტება არის ამ აღიარების საფუძველი, ჭეშმარიტი აზრი საგნის თავისთავადობითაა განსაზღვრული და ამიტომ მისი ზოგადსაყოველთაობის საფუძველიც ის არის. ერთ-ერთი ფილოსოფოსი ბოგდანოვი, რომელიც ემპიროკრი-

ტიცისტული ფილოსოფიის ნიადაგზეა, ჭეშმარიტებას კოლექტიური ცდის შედეგად აღიარებს. ეს აზრი საბოლოოდ კონვენციონალისტურია: ამის მიხედვით, აზრის ჭეშმარიტება ადამიანთა შეთანხმების შედეგია, ამიტომაა, რომ ბოგდანოვი ობიექტურ ჭეშმარიტებას უარყოფდა. მისი გაგებით, ყოველ ეპოქას თავისი ჭეშმარიტება აქვს. ჭეშმარიტება სოციალური მოვლენაა. იცვლება საზოგადოება და იცვლება ჭეშმარიტებაც. ეს აზრი მცდარ საფუძველს ემყარება; ჭეშმარიტი აზრი საგნის ბუნების ამოხსნაა და ის შეუძლებელია სოციალურით იყოს განსაზღვრული; სოციალური იცვლება, ხოლო ეს საგანი ამ ცვლილებისაგან დამოუკიდებელია. ჭეშმარიტება შემეცნების განვითარების შედეგია, ის აზროვნებას იმთავითვე მოცემული არ აქვს. დიდი ხანია კაცობრიობაა, მაგრამ მხოლოდ მე-17 საუკუნეში მიაღწია მან მექანიკის კანონების დადგენას, რაც ნიუტონის სახელთანაა დაკავშირებული. დიდი ხანია საზოგადოება არსებობს და ის აზროვნების საგნად არის გამხდარი, მაგრამ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მარქსისა და ენგელსის მიერ იქნა მისი კანონები მეცნიერულად შესწავლილი. ჭეშმარიტება დადებით და უარყოფით მსჯელობებში გამოიხატება, მაგრამ თვით ჭეშმარიტება არც დადებითია და არც უარყოფითი. აქ ერთგვარი სიძნელე იბადება. თუ ჭეშმარიტება არც დადებითია და არც უარყოფითი, მაშინ რა კავშირშია ის დადებით და უარყოფით მსჯელობასთან. მსჯელობა ყოფა და უარყოფაა. ამ ორივე მსჯელობას შორის საერთო ასაღიარებელი არის ცნება, რომელიც ორივე მსჯელობის შინაარსია. ის ორივეში პოვებს ადგილს, ერთი დადებითი ნიშნებით, ხოლო მეორე უარყოფითით; ცნების დადებითი ნიშნებია, რაც მოცემული საგნის ცნებას ადგენს, უარყოფითია ის ნიშნები, რითაც არის თავის თავის საწინააღმდეგო და რაც საგნის ცნებაში არ შედის. მაშასადამე, ჭეშმარიტება მსჯელობის შინაარსი ყოფილა, რომელიც ცნებაა და ცნება, როგორც მსჯელობის შინაარსი, შეიძლება გამოითქვას, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსჯელობით; ცნება არის საგნის დადებითი ნიშნების გამომთქმელი და ის იმიტომ არის დადებითი, რომ გამორიცხავს თავის საწინააღმდეგოს; ამიტომ ის შეიძლება უარყოფითი მსჯელობითაც გამოითქვას, რადგან რაც არის, ის იმით არის, რომ თავის საწინააღმდეგოს გამორიცხავს. ჭეშმარიტება საგნის გამომთქმელი აზრია. რაკი აზრთა შორის კავშირია, რის მიხედვითაც ერთი აზრი მეორის საფუძველია, ამიტომ ეს დამოკიდებულება შეიძლება ვიაზროთ ჭეშმარიტ აზრთა შორისაც. შემეცნება საგნის ყოველმხრივი გაგებისა-

კენ მიდის. ერთ ჭეშმარიტებას მეორის საფუძვლად აქცევს, ეს კი, თავის მხრივ, საგანთა შორის დამოკიდებულების გამომხატველია; საგანთა შორის დამოკიდებულება აზროვნების მიერ გადაითარგმნება ჭეშმარიტებათა ურთიერთდამოკიდებულებაზე, იქ საგანთა შორის არსებული დამოკიდებულებაა, აქ კი იგი ლოგიკური დამოკიდებულების სახეს მიიღებს.

ცხადია, ჭეშმარიტ აზრთა შორის ლოგიკური კავშირი და გამომდინარეობა არა იმის შედეგია, რომ ესენი ჭეშმარიტია, არამედ აზრთა შორის კავშირი საერთოს საშუალებითაა შესაძლებელი; მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ეს აზრები იმავე დროს განიხილება როგორც ჭეშმარიტნი და საქმე გვაქვს ჭეშმარიტ აზრებთან, რომლებიც ერთიმეორის საფუძველია, ერთიმეორის ამხსნელია; მაგალითად, „ზაფხულში ხის ფოთოლი არის მწვანე" არის მსჯელობა, რომელიც ნამდვილ ვითარებას გამოხატავს და ჭეშმარიტია; საჭიროა აიხსნას, თუ რატომაა ასე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მცენარე იმუშავებს ქლოროფილს, ამისათვის საჭიროა მიწიდან ჟანგბადის მიღება და სინათლე. სინათლეზე ხდება ფოტოსინთეზი. ამით მცენარის ფოთლების სიმწვანე ახსნილია; გამოდის, რომ ერთ მხარეს მეორეში აქვს საფუძველი და ამიტომ მათი ამსახველი მსჯელობებიც ამ კავშირს საჭიროებენ, რადგან ერთი მეორისაგან მოელის ახსნას, ისე რომ ჭეშმარიტ დებულებას ჭეშმარიტ დებულებაში უნდა ჰქონდეს საფუძველი. აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ ორივე ჭეშმარიტია, არამედ იმაში, რომ ერთი ჭეშმარიტი მეორე ჭეშმარიტის ამხსნელია; თავისთავად შეიძლება მრავალი დებულება იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ მათ არაფერი არ ჰქონდეთ საერთო; მსჯელობები რომ მხოლოდ ჭეშმარიტების ნიშნით დავაკავშიროთ, მივიღებთ მეტად აბნეულ მდგომარეობას, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველა მეცნიერება ერთნაირი იქნება და მათ შორის განსხვავება წაიშლება, მეცნიერებათა ერთმანეთისაგან გამოყოფისათვის საჭიროა მათი საგნობრივი თავისებურების ნახვა.

ადამიანი საგნის შემეცნებას ერთი ხედვით რომ ასრულებდეს, საგანი აზროვნებაში სისრულით რომ შემოდიოდეს, მაშინ მას შეცდომა არ ექნებოდა. ყოველი დადგენილი აზრი ჭეშმარიტი იქნებოდა და შემეცნებას თავისი თავის გასწორება არ დასჭირდებოდა: ან ასე რომ იყოს, აზროვნებაში ფენებად იყოს ცოდნა დალაგებული და ეს ადამიანისათვის უშუალოდ ცნობილი არ იყოს, მაშინ შემეცნება თავის თავში ხედვის ისტორია იქნებოდა, გარე სინამდვილე მხოლოდ მისი ჭეშმარიტების გამოფენა იქნებოდა. გარე სინამდვილე აზ-

როვნებასთან იმთავითვე დადგენილ შესაბამისობაში იქნებოდა, შემეცნება შეცდომის გარეშე შესრულდებოდა. მაგრამ ადამიანს, გარდა მისი აზროვნების შინაწყობისა და მისი კანონიერებისა, არაფერი არა აქვს, სინამდვილე მის გარეთაა და მისი ამოცანაა, მისი ბუნება ეძებოს და მისი კანონები აღმოაჩინოს. საგანი შემეცნებას თავის შინაბუნებას თითქოს უმალავსო, ისეა და ამიტომაა შემეცნების ბილველობაში შეცდომა; ჭეშმარიტება შეცდომის სამოსელშია გამოხვეული და ამისგან განთავისუფლება თანდათან ხდება.

ფერები მრავალნაირია, მათ ყველა თვალებით ხედავს. მათზე გამოთქმული ბსჯელობა ჭეშმარიტია, ის მოვლენის ჭეშმარიტებაა; როცა საკითხი დაისმება იმაზე, თუ რა უდევს საფუძვლად ამ ფერების მრავალნაირობას, ეს მოითხოვს უშუალო აღქმის არიდან ბის იქით გასვლას და მათი არსების მონახვას. აღმოჩნდება, რომ ფერების მრავალნაირობის ფიზიკური საფუძველია ელექტრომაგნიტური ტალღები, რომელთა სიგრძე, სიხშირე და სიმაღლე აქვთ. „ფერების არსებობის საფუძველი ელექტრომაგნიტური ტალღებია". ეს უკვე არსების ჭეშმარიტებაა, ისე რომ მოვლენის ჭეშმარიტებას არსების ჭეშმარიტებაში აქვს საფუძველი. არსების ჭეშმარიტებიდან მოვლენის ჭეშმარიტება გამომდინარეობს. ჭეშმარიტების გამოხატვისათვის მსჯელობის მხოლოდ ერთი სახე არ არის, ბსჯელობა სხვადასხვა სახისაა და, ამის მიუხედავად, ისინი ყველა ჭეშმარიტების გამოსახვას ემსახურება, თუობითი მსჯელობა, მაგალითად, „თუ რაიმე ატომია, ის გულისა და ელექტრონებისაგან შედგება", ისევეა ჭეშმარიტების გამომსახველი, როგორც კატეგორიული მსჯელობა" — ყოველი ატომი გულისა და ელექტრონებისაგან შედგება. ასევე შეიძლება სხვა სახის მსჯელობაზე ითქვას. მაგალითად, გაყოფითი მსჯელობა „წიგნი ან ბეცნიერულია, ან მხატვრული" ჭეშმარიტი მსჯელობაა, თუმცა იგი საგნების მოცულობით დამოკიდებულების გამომსახველია. რაკი მსჯელობაშია ჭეშმარიტება, აქედან ის აზრი გამოდის, რომ ჭეშმარიტება მსჯელობამდე არ არსებობს. როცა ამას ვამბობთ, ეს ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ყოველდღიურ ბსჯელობამდე ის არ არსებობს, ამაში იგულისხმება პირველად დადგენილი მსჯელობა, რომელიც ჯერ არსად არავისაგან არ ყოფილა დადგენილი. მსჯელობა „ატომის ელექტრონები ბრუნავენ გულის ირგვლივ, ისე როგორც მზის ირგვლივ პლანეტები მოძრაობენ", ეს ის მსჯელობაა, რომელიც რეზერფორდმა დაადგინა და მანამდე იგი ბუნებაში არ ყოფილა. ეს მსჯელობა მეცნიერებაშია დადგენილი და ყოველდღიუ-

რობაში მასზე მსჯელობის დაწყება ამ დადგენილი მსჯელობის გაგრძელება იქნება.

საკითხი თუ აზროვნების სხვა სახეებზე მიდგება, უნდა ითქვას, რომ ცნება და დასკვნა უშუალოდ ჭეშმარიტებას არ გამოხატავს, ისინი მსჯელობის დადგენაში ჭეშმარიტების გამოსახვისათვის სხვადასხვანაირად მონაწილეობენ. ცნება მსჯელობის შემადგენელია, ხოლო დასკვნა მოცემული ჭეშმარიტი მსჯელობიდან ახალი ჭეშმარიტი მსჯელობის მიმღებია. მსჯელობის ჭეშმარიტების გამოხატვის ძირი მაინც „არის" და „არ არის"—შია, რადგან მსჯელობა, როგორც ჭეშმარიტი, იმის აღიარებაა, რაც არის, ან რაც არ არის. შეცდომაც მათი საშუალებით არის გამოთქმული, მაგრამ ის შემეცნებისათვის დაფარულია, როგორც შეცდომა. შეცნება მას ჭეშმარიტად თვლის და ამიტომ გამოთქვამს ასეთ მსჯელობას.

ჭეშმარიტება იმის აღიარებაა, მსჯელობით რაც არის, ან რაც არ არის, ამიტომ ჭეშმარიტების ასეთი გაგება არის აგრეთვე ჭეშმარიტების ობიექტურობის აღიარება. ისე რომ ობიექტური ჭეშმარიტება არის მსჯელობით საგნის ისე აღიარება, როგორც ის არის.

ლოგიკის მეცნიერებაში არის აზრი, რომლის მიხედვით, მსჯელობა ჭეშმარიტებას ვერ გამოხატავს. ეს აზრი შემუშავებულია ჰეგელის მიერ. ჰეგელი გამოდის აბსტრაქტული გარკვეულობებიდან, რომელნიც ერთიმეორეს არიან დაპირისპირებულნი და რომელთაგან თითოეულს ამ დაპირისპირებაში აქვს არსებობა. ასეთი დაპირისპირების გამომხატველია არსის კატეგორია. იგი არსია, მაგრამ ამავე დროს ის არარსია, რადგან ის არის აბსტრაქტული გარკვეულობა და თავისუფალია ყოველი შინაარსისაგან. ასეთი უშინაარსო არსი არის იგივე არარსი. ისინი ერთიმეორეში გადადიან. ერთიმეორეში ხსნიან თავს, ერთიმეორედ იქცევიან. ამიტომ მსჯელობა „არსი განსხვავდება არარსისაგან" — ისევე შემცდარია. როგორც საწინააღმდეგო, რომ არსი არის არარსი. არც ერთი მსჯელობა არ გამოხატავს არსის ჭეშმარიტებას. იგი უფრო მეტია, ვიდრე თითოეული ამ მსჯელობაში არის გამოხატული; ამიტომ ეს მსჯელობები ჭეშმარიტების გამოხატვისათვის არიან ცალმხრივნი. ჰეგელის აზრით, ჭეშმარიტება სპეკულატური ბუნებისაა, ხოლო მსჯელობა განსჯის მიერ არის შექმნილი. ამიტომ ჭეშმარიტებასა და მსჯელობის ფორმას შორის არის წინააღმდეგობა[1], ან ჭეშმარი-

[1] ჰ ე გ ე ლ ი. ლოგიკა, შ. პაპუაშვილის თარგმანი. გვ. 105.

ტება არის გამოუხატავი და აზროვნება ამაოდ აწყდება ერთი მხარიდან მეორისაკენ, ან მისი გამოხატვა შესაძლებელია და ამიტომ მან უნდა მონახოს მისი გამოხატვისათვის შესაბამისი ფორმა. ეს ფორმა ისევე სპეკულატური უნდა იყოს, როგორც თვით ჭეშმარიტება არის სპეკულატური. მაშინ იქნება მიღწეული შესაბამისობა ჭეშმარიტებასა და მისი გამოხატვის ფორმას შორის.

მსჯელობა: „არსი არის არარსი" წინააღმდეგობის შემცველია. ეს მსჯელობა გვეუბნება, რომ არსი არის არარსი, მაგრამ მსჯელობის შედგენა იმას გულისხმობს, რომ არსი ერთია და არარსი მეორე, ხოლო ეს მომენტი მსჯელობაში არ არის გამოხატული. თუ მეორე მსჯელობას შევასრულებთ, ის იქნება მისი საწინააღმდეგო, ანუ მივიღებთ ანტინომიას: ერთი მსჯელობა გვეუბნება: საგანი ერთია, ხოლო მეორე გვეუბნება, რომ საგანი მისი საწინააღმდეგოა. საგანი ნამდვილად არა ორია, არამედ ერთი, ეს საგანი არის არსი. ამ ანტინომიიდან არც ერთის აღება არ შეიძლება, რადგან თითოეული ჭეშმარიტებას გამოხატავს ცალმხრივად. თუ ამისათვის გამოვიყენებთ „ერთიანობას", „მთლიანობას", იგი ხაზს უსვამს იმას, რაც საერთოა, მათ შორის და ყურადღების გარეშე ტოვებს განსხვავებას. და ბოლოს, თუ ამისათვის ვიხმართ „განუყოფლობას", იგი არ გამოხატავს იმას, რაც მთელში თანაფარდობის მტკიცებისასაა. როგორც ჩანს, ჰეგელის აზრით, იგივეობა, განსხვავება, მთლიანობა, განუყოფელობა გამოხატავენ არსისა და არარსის დამოკიდებულებებს უძრაობაში, გაჩერებაში, მაშინ, როდესაც არსი და არარსი თავისი ბუნებით არის ქცევადობა, მოძრაობა. შემეცნებამ კი სწორედ ეს დაუდგრომელი მოძრაობა უნდა გამოხატოს. არსი და არარსი მუდმივად გადადის ერთიმეორეში, შემეცნებამ ეს არსი ამ მოქმედებაში უნდა გამოხატოს, ამიტომ იგი სწორედ ისეთსავე მოძრაობაში უნდა იყოს. აზროვნებასა და სინამდვილეს შორის შესაბამისობა სწორედ ამას მოითხოვს. ჰეგელის მიხედვით, ეს გარემოება გამოხატავს აზრისა და არსის აბსოლუტური იგივეობის თვალსაზრისს. არსის სახით აზროვნება არკვევს თავისთავს, უპირველესად როგორც არსს; შემდეგ თავის თავს შეიცნობს იგი, როგორც არარსსა და მისი ჭეშმარიტება ასეთ გადასვლაში მდგომარეობს; ჰეგელის ამ აზრის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: იმით, რომ აზროვნება შეიცნობს არსს, უკვე დადგენილია განსხვავება აზროვნებასა და არსს შორის და თუ ეს განსხვავებაა, ცხადია, რომ არსის გზა და აზროვნების გზა აბსოლუტურად არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს.

საგნის მოძრაობა და აზრის მოძრაობა რომ ერთი და იგივე იყოს, მაშინ, საიდანაც იწყება საგნის განვითარება, იქიდანვე უნდა იწყებოდეს მის შესახებ აზრის განვითარებაც, ე. ი. საგნის განვითარების საფეხურს რეალურად უნდა მიჰყვებოდეს აზრის განვითარების საფეხური. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საგნის მოძრაობა და აზრის მოძრაობა ერთი და იგივეა.

ჰეგელის დებულება მსჯელობის ნაკლოვანების შესახებ ემყარება მსჯელობის ყალბ გაგებას, მსჯელობა „ადამიანი არის ცხოველი" გამოხატავს ერთიანობას, რომელიც არის ადამიანსა და ცხოველს შორის, იგი არ იძლევა მათ შორის არსებულ განსხვავებას, მაშინ, როდესაც იგი ფაქტია, მაგრამ მსჯელობას შეუძლია ამ ნაკლის გამოსწორება. ეს ისეთი მსჯელობაა, რომელიც გამოხატავს სახისა და ბუნების ურთიერთობას. მსჯელობით შეიძლება გამოიხატოს არა მარტო ეს ერთობა, არამედ განსხვავებაც, სახელდობრ, სახეობით განსხვავება. მსჯელობა „ადამიანი არის ისეთი ცხოველი, რომელიც იარაღის მკეთებელია" — ამ ნაკლის შემავსებელია. იგი გამოხატავს, როგორც იგივეობას, ისე მათ შორის არსებულ განსხვავებას. მსჯელობა არა თუ ემყარება მათ ერთობას, არამედ ერთობა და განსხვავება მსჯელობაშია გამოხატული. პირველი მსჯელობა ნაკლებ ცოდნას იძლევა, ხოლო მეორე მეტს. თუ შემეცნების პროცესი საგნის უფრო და უფრო მეტს შემეცნებას ნიშნავს, იგი აუცილებლივ უნდა იქნეს გამოვლინებული. მან უნდა გამოხატოს საგნის არსება, რომელიც მასში ყველაფრის ამხსნელია და არსების მსჯელობამ გასაგები უნდა გახადოს საგნის ყველა ხარის მსჯელობები. მარქსი საქონლით იწყებს და მიდის მსჯელობამდე ზედმეტი ღირებულების შესახებ. მიღწეული მსჯელობა თავის მხრივ ამხსნელია იმ მსჯელობებისა, რომელთა შედეგს იგი წარმოადგენს და სწორედ მასში პოულობს წინა მსჯელობათა ლოგიკურ საფუძველს. ეს სრულიად ბუნებრივი გარემოებაა. ისე, როგორც ერთეულიდან ინდუქციით მივდივართ ზოგადისაკენ, ზოგადიდან მივდივართ ერთეულისაკენ; ასეთი ორმხრივი გზა რომ არ არსებობდეს, მაშინ ან ზოგადთან ვერ მივიდოდით, ან ზოგადიდან ცალკეულისაკენ ვერ წამოვიდოდით.

## 2. შეფარდებითი ჰეშმარიტება

შეფარდებითი ჰეშმარიტების ის სახე, რომელიც შემეცნების ნაკლითაა განსაზღვრული, მაინც ობიექტურია, რადგან საგანთა ეი-

ოარების დაახლოებითი ამსახველია. ასეთი ჭეშმარიტება იმის შედეგია, რომ შემეცნების საგანში, გარდა იმისა, რაც ის არის, ისეთ რამეს შევიტანთ მსჯელობაში, რომელიც მას არა აქვს, ან ისეთ რამეს გამოვტოვებთ, რაც ნამდვილად მას აქვს. ამ სახის შეფარდებითი ჭეშმარიტება შემეცნების უსასრულობის შედეგია; რაც მის ისტორიულობაში ხორციელდება. შეფარდებითი ჭეშმარიტების ნიშანი არის მისი ისტორიული განსაზღვრულობა, ანუ რაიმე დებულება ჭეშმარიტია მხოლოდ ამ მოცემულ ვითარებაში, როგორც მისი ამსახველი, როცა ეს ვითარება შეიცვლება, ახალი წარმოიშობა და ამ დებულებას სხვა შესცვლის; მეორე სახეა ისეთი დებულება, რომელიც შეცდომის შემცველია და რომლის მცდარობა მერე აღმოჩნდება. ამ დებულებებს შორის ის განსხვავებაა, რომ ერთში მცდარობა ჩვენი შემეცნების ნაკლია, ხოლო მეორეში მცდარობა თავისთავად არსებული ვითარების შეცვლის შედეგია. მაგალითად, პირველყოფილი ადამიანი მრავალქმრიანობას იცავდა და ეს ვითარება მსჯელობაში გამოთქმული ჭეშმარიტია პირველყოფილი ადამიანისათვის და არა თანამედროვე ადამიანისათვის. აზრი ჭეშმარიტია, თანამ, სანამ მისი შესაბამისი საგანი არის; როცა მისი შესაბამისი აღარ არის, ის მცდარია. ამასზე მხოლოდ უარყოფითი მსჯელობაა ჭეშმარიტი. მაშასადამე, შეფარდებითი ჭეშმარიტება ორი ნიშნით ხასიათდება, მისი შემეცნების დონის განსაზღვრულობით და საგნის ცვალებადობით; ერთადერთი ჭეშმარიტება ობიექტურია, შეფარდებითობა ობიექტური ჭეშმარიტების ნიშანია, შემეცნების მიზანი ჭეშმარიტებაა და ის, რაც დღეს მისთვის ნაკლებად შეცნობილია. ის ხვალ ახალ საფეხურზე შეცნობილი გახდება. ტომსონის აზრით, ატომი შედგება გულისაგან და ელექტრონებისაგან და ელექტრონები ატომის მთელ მოცულობაშია განაწილებული. აქ ჭეშმარიტება ის იყო, რომ ატომი მათგან შედგება, შეცდომა კი ის იყო, რომ ელექტრონები ატომის მთელ მოცულობაშია განაწილებული. შემდეგ რეზერფორდმა ცდებით დაადგინა, რომ ატომის შიგნით არის ბირთვი, რომლის ირგვლივ ელექტრონები მოძრაობენ. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ელექტრონები ატომის ბირთვის ირგვლივ ისე მოძრაობენ, როგორც პლანეტები და ვარსკვლავები მზის ირგვლივ. ჭეშმარიტების შემეცნებაში წინსვლა მოხდა, გაირკვა, რომ ატომში არის დადებითად დამუხტული ბირთვი, ხოლო მის ირგვლივ ელექტრონები მოძრაობენ. შეცდომა ის არის, რომ აქ ელექტრონების მოძრაობა გაიგივებული იქნა მზის ირგვლივ პლანეტების მოძრაობასთან: ეს ასე რომ იყოს, მაშინ ელექტრონები ბირთვს უნდა დასცემოდნენ. მაგრამ ეს ასე

არ არის, ატომი დიდი ხნის განმავლობაში არსებობს და აი, სწორედ ბორმა შექმნა ატომის აგებულების ახალი მოდელი, რომლის მიხედვით, თუმცა ელექტრონები ატომის გულის ირგვლივ მოძრაობენ, მაგრამ ისინი მუდმივად არ გამოასხივებენ, ეს ასე რომ იყოს, ელექტრონები გულს დაეცემოდა და ატომი დაიშლებოდა. გამოსხივება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ელექტრონები ერთი ღონიერიდან მეორეზე გადადიან. მაშასადამე, ბორმა რეზერფორდის შეცდომა შეასწორა და ჭეშმარიტების შემეცნების საქმე წინ წასწია. არც ბორის თეორია აღმოჩნდა სრული და შემდეგ ფიზიკოსების მიერ მისი შესწორებაც მოხდა. ე. ი. ობიექტურ-შეფარდებითი ჭეშმარიტება თანდათან სრული ხდება.

### 3. აბსოლუტური ჭეშმარიტება

ჭეშმარიტების ინამდვილი სახეა ობიექტურ-შეფარდებითი ჭეშმარიტება, სინამდვილე რთულია. მასში მოვლენები ისეა ერთმანეთთან გადახლართული, რომ ძნელია თითოეული ისე იქნეს შეცნობილი, როგორც ის არის: ამიტომ მისი შემეცნება შეფარდებითია, ანუ ის საგანს შეიცნობს და, ამდენად, შემეცნება ობიექტურია; მაგრამ იგი შეცდომის შემცველია, რომელიც შემეცნების შემდეგ საფეხურზე გამოსწორდება. ადამიანის მიზანია მთელი არსებულის შემეცნება: არსებული მთელი სავსეობის შემეცნება არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, მისი შემეცნება თანდათანობით ხდება ისე, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნების გზა ობიექტურ-შეფარდებითი ჭეშმარიტების შემეცნებაა, სამყაროუსასრულოა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ადამიანი ვერასდროს ვერ მიაღწევს; შემეცნების ყოველი ნაბიჯი მასთან მიახლოვებაა: შეფარდებითი ჭეშმარიტება აბსოლუტურის შეფარდებითია, ის მასთან შეფარდებითად მიახლოვებაა; რაც შეეხება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ის შემეცნების უსასრულო მიზანია, შემეცნების გზაზე ყოველი მისი მოპოვებული ჭეშმარიტება ობიექტურია და ზოგადსაყოველთაობის შემცველია. რაკი აბსოლუტური ჭეშმარიტება მიზანია, ამიტომ ის შეფარდებით ჭეშმარიტებათა რიგია.

ყოველი მოპოვებული ჭეშმარიტება ზოგადსაყოველთაოა. მაგალითად, მსჯელობა — „სივრცე მატერიის არსებობის ფორმაა“, ზოგადსაყოველთაოა, რადგან, სადაც მატერიაა, იქ სივრცეცაა და პირიქით. „ყოველი აზროვნება იგივეობის კანონს ემორჩილება“ ასეთია, რადგან არ არის აზროვნება ამ კანონის გარეშე.

2.2=4 ზოგადსაყოველთაოა, რადგან ის ასეთია ყველა დროსა და ადგილას. მაშასადამე, აბსოლუტური ჭეშმარიტება მიზანია, ხოლო ყოველი მოპოვებული ობიექტურ-შეფარდებითი ჭეშმარიტება მისი ნაწილია, რომელიც ზოგადსაყოველთაო ხასიათისაა. ჭეშმარიტების ზოგადსაყოველთაობის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. ჭეშმარიტება შეიძლება იყოს ერთეულ განუმეორებელ საგანზე. მაგალითად, „შაჰაბასი იყო საქართველოს დამპყრობი" — აქ მსჯელობის საგანი ერთეული საგანია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ზოგადსაყოველთაოა, რამდენადაც ვინც მის ისტორიას შეისწავლის. მისთვის ეს ასაღიარებელი მსჯელობა იქნება, მეორე მნიშვნელობა მისი იმაშია, რომ გამოხატავს ზოგად საგანს. მაგალითად, ყოველი ადამიანი აზროვნების მქონეა. აქ საგანი არა ერთეულია, არამედ ზოგადი და მნიშვნელობითაც ზოგადსაყოველთაოა, რამდენადაც ყველას მიერ ასაღიარებელია. ის, რაც შემეცნებას ეძლევა, ობიექტურია. მისი შემეცნება მიახლოვებითია, ამიტომ ის შეიძლება დახასიათდეს როგორც ობიექტურშეფარდებითი ჭეშმარიტება, მისი გამოხატვა მსჯელობაში მას აძლევს ობიექტურ და ზოგადსაყოველთაო ხასიათს.

### 4. აბსტრაქტული და კონკრეტული ჭეშმარიტება

ვინ იცის, კაცობრიობამ თავისი განვითარების დასაწყისიდან, როცა მან სინამდვილის შემეცნება დაიწყო, რამდენი რამ აღმოაჩინა და იქიდან სხვადასხვა მიზეზის გამო ბევრი რამ დაიკარგა; ვინ იცის, იქნება მის შემეცნებას მან არასდროს არ მიაღწიოს, რადგან მისი შემეცნების კვალი გაქრა. ადამიანი სინამდვილისადმი მოხმარების თვალსაზრისითაა მიმართული და მისდამი შემეცნებით დამოკიდებულებას იყენებს მოხმარების საშუალებად. შემეცნებას ამის გარეშე არავითარი აზრი არ ექნებოდა. შემეცნება ადამიანს ემსახურება, მაგრამ არა იმ აზრით, რომ სიმცდარე ჭეშმარიტების სამოსელში გაახვიოს, არამედ იმით, რომ სინამდვილე ისე გაიგოს, როგორც ის არსებობს.

სინამდვილეს რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ ცდაში ზოგადი არ გვეძლევა, ცდაში არ გვეძლევა ცხენი, რომელიც არც ერთი ნახული ცხენი არ არის. ცდაში ზოგადი არ გვეძლევა ერთეულისაგან გამოცალკავებულად. ცდაში გვეძლევა ერთი საგნის მეორე საგანთან იგივეობა და მათი განსხვავება სხვა საგანთა რიგისაგან, თუმცა საგანთა იგივეობისა და განსხვავების ნახვა ემყარება ჩვენს

აზროვნებაში იგივეობისა და განსხვავების ცნების არსებობას. ყოველი საგანი ნიშანთა ბუნებრივი მთლიანობაა, რომელიც დროსა და სივრცის საზღვრებშია მოცემული. ყოველი ნიშანი, რომელიც ერთეულს აქვს, ზოგადად იქცევა, როცა მას ერთეულისაგან გამოვყოფთ; ცხენისაგან ცხენობის ნიშნის გამოყოფით ეს ნიშანი ზოგადია, ასევე მისი ფაფარი მისგან გამოცალკევებული ზოგადია, თუ სინამდვილე ერთეულთა გროვაა, როგორ შეიცნობა ის? ერთეული ერთეულით ვერ შეიცნობა. როცა ვიტყვით, ეს ცხენი, თუ მას რაღაც ზოგადი არ დავუმატეთ, ისე მასზე აზრის გამოთქმას ვერ მოვახერხებთ. მაშასადამე, ერთეული ზოგადით უნდა შევიცნოთ. სწორედ ამის გამოა, რომ ზოგადი ერთეულის გარეშე არ არის, სწორედ ამის გამოა, რომ ერთეული ზოგადით შეიმეცნება. ერთეულისათვის ზოგადი რომ უცხო რამ იყოს, მაშინ მას ერთეულისათვის შემეცნებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ერთეული სინამდვილის მიხედვით ყველაზე კონკრეტულია, რადგან ყველაფრის ერთიანობაა, ყველაფერი მასშია. შემეცნების თვალსაზრისით კი, რაკი ის თავის თავს უშუალოდ ვერ შეიცნობს, ის ღარიბია. მსჯელობა, ივანე აზროვნების მქონეა და ყოველი ადამიანი აზროვნების მქონეა, სხვადასხვაა. პირველში მოცემული ცოდნა ნაკლებ ცოდნას იძლევა, ხოლო მეორე მეტს, რადგან მეორეში მრავალ ადამიანზეა მსჯელობა და არა რომელიმე ერთეულზე. აბსტრაქტულისა და კონკრეტულის ცნებები ჰეგელმა შემოიტანა; ჰეგელი ამ ცნებებს ორგვარი მნიშვნელობით ხმარობს, პირველი მნიშვნელობით კონკრეტული ეს არის განჭვრეტაში მოცემული, გრძნობადი სიმრავლე, რომლებიც ერთმანეთის გარეთ არიან და რომლებიც აზროვნებამ ცნებად უნდა გარდაქმნას, რათა ცოდნის სახე მიიღოს. ასეთი გაგებით კონკრეტული არის, ჰეგელის აზრით, გაურკვეველი, რომელსაც ამ ნიშანს ცნება აძლევს, მეორე მნიშვნელობით კონკრეტული არის ცნება, რომელიც თავისში ზოგადობის განსაკუთრებულისა და ერთეული მხარეების მთლიანობაა. ამას განსჭვრეტითი კონკრეტულობისაგან განსხვავებით — ცნებითი — კონკრეტული ეწოდება. ჰეგელის გაგებით, ყველაზე მდიდარი შინაარსით არის ყველაზე კონკრეტული. ის ამავე დროს არის სუბიექტური, რადგან ის არის თავისთავთან არსებულ მიმართებაში. ჰეგელის ეს აზრი მისაღებია. შინაარსით მდიდარი ცნება არის ყველაზე კონკრეტული, ცნება, როგორც შინაარსით მდიდარი, თავისში უნდა შეიცავდეს ზოგადს, განსაკუთრებულს და ერთეულს. რაკი ზოგადი ერთეულის გარეშე არ არის და პირიქით. ამიტომ ჰეშმარიტება

არის მათი მთლიანობა, ერთეულის მოაზრება შეუძლებელია ზოვადის გარეშე და პირიქით. ამიტომ ცნების კონკრეტულობა მათი ერთიანობაა. „ადამიანი არის ცოცხალი არსი, რომელიც იარაღის მეთებელია“, აქ ცნება კონკრეტულია, რადგან მასში მოცემულია არა მარტო ის, რაც მას სხვასთან აქვს, არამედ ისიც, რაც მისი არსებითია, რითაც ის სხვებისაგან განსხვავდება. კონკრეტულობის გაგებაში არსებითად ერთმანეთის საპირისპიროა ჰეგელისა და მარქსის თვალსაზრისები. ჰეგელისათვის გრძნობადი კონკრეტული, როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებული, გაურკვეველია. მასში გარკვეულობა აზროვნებამ უნდა შეიტანოს, ჭეშმარიტი კონკრეტული, ჰეგელის აზრით, არის აზრით შექმნილი, მარქსის გაგებით, გრძნობადი კონკრეტული, როგორც შემეცნებისაგან დამოუკიდებელი, ყოველი გარკვეულობის მქონეა, მასში თავისთავად ყველაფერი თავის ადგილზეა, ის მხოლოდ შემეცნებისათვისაა გაურკვეველი. შემეცნება ამოდის მისგან, გრძნობადი კონკრეტულისაგან. მის ანალიზს ახდენს, შემდეგ ანალიზის შედეგად დადგენილ მხარეთა შორის შინაგან კავშირს ალმოაჩენს, ანუ ანალიზის შემდეგ სინთეზს მოახდენს და გრძნობადი-კონკრეტულისაგან განსხვავებით ცნება-კონკრეტულსა ქმნის. გრძნობადი კონკრეტული ამოსავალია და მისი შემეცნების შედეგია ცნებითი კონკრეტული. 1. ჰეგელი იქიდან ამოდის, რომ მოცემული გვაქვს ცნობიერებაში აღქმები, წარმოდგენები, რომელთაც მართლაც არა აქვთ შინაგანი მთლიანობა. ესენი უწესრიგოდ არიან ცნობიერებაში გაბნეულნი და აზროვნებას შეაქვს მათში შინაწყობა, მთლიანობა. აქ ჰეგელი იძულებულია გონების მბრძანებელ ძალას დაეყრდნოს მაშინ, როდესაც მარქსისათვის ამ უწესრიგოდ არსებული წარმოდგენებისაგან დამოუკიდებლად არსებობს სინამდვილე შინაგანი წესრიგის მქონე და ჩვენი ცნებების შინაგანი ლოგიკური კავშირის მოკარნახეს აზროვნებისათვის ის წარმოადგენს. კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრებათა შეერთებაა. მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა, ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება როგორც შეერთების პროცესი, როგორც შედეგი და არა როგორც ამოსავალი პუნქტი და მაშასადამე, ჭვრეტისა და წარმოდგენის ამოსავალი პუნქტიც. როდესაც პირველი გზაა არჩეული, სრული წარმოდგენა აბსტრაქტულ განსაზღვრებად აორთქლდება, როდესაც მეორეა არჩეული, აბსტრაქტული განსაზღვრებანი იძლევიან კონკრეტულის კვლავწარმოქმნას აზროვნების გზით, ამიტომ ჰეგელი ილუზიაში ვარდება, როდესაც მას

რეალური ესმის როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში მოიცავს თავის თავს, თავისში ღრმავდება და თავის თავიდან ვითარდება მაშინ, როდესაც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად როგორც კონკრეტულს, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა თვით კონკრეტულის წარმოქმნის პროცესი[2].

ჰეშმარიტების კონკრეტულობა ნიშნავს საგნის ყოველმხრივობაში შესწავლას, მაგრამ ეს ისეთი მოთხოვნაა, რომელიც ერთბაშად არ ხორციელდება, ჰეშმარიტების სავსეობაში შემეცნება ისტორიული განვითარების შედეგია, ამიტომ ადამიანის შემეცნება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უფრო და უფრო მეტი კონკრეტულობისაკენ სვლად. ჰეშმარიტების კონკრეტულობა საგნის არსებისა და მისგან გამომდინარე კავშირების შემეცნებაა.

რაკი შემეცნების პროცესი კონკრეტულისაკენ სვლის პროცესია, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შემეცნება, რაც უფრო კონკრეტულია, მით უფრო ზოგადობისაგან თავისუფალია. ასეთი დაპირისპირება ზოგადსა და კონკრეტულს შორის მცდარია. შემეცნება, რომელიც მსჯელობაში სახიერდება, კონკრეტულში ზოგადს კი არ კარგავს, არამედ იგი კონკრეტული იმიტომ არის, რომ შეიცავს გარკვეულობათა სიმდიდრეს. კონკრეტულობის გამომხატველი მსჯელობა ამ გარკვეულობათა მრავალნაირობას შეიცავს. მაგალითად, მარქსის მსჯელობა „საქონელი პირველყოვლისა გარეშე საგანია, ნივთია, რომელიც თავისი თვისებებით ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს". ზოგადი მსჯელობაა, მაგრამ ამავე დროს — აბსტრაქტული, რადგან აქ არ არის მოცემული საქონლის ის ნიშნები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა საგნებისაგან. მაგრამ მეორე მსჯელობა მარქსისა „იმ საზოგადოებრივ წყობილებაში, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიკვლევთ, სახმარი ღირებულება ამავე დროს ნივთიერის მატარებელია, საცვლელი ღირებულების ზოგადია, მაგრამ ამავე დროს პირველ მსჯელობასთან შედარებით კონკრეტულია, რადგან აქ მოცემულია საქონლის არა მარტო ის ნიშანი, რითაც ის საერთოა საგნებთან, არამედ ისიც, რაც მას სხვა საგნებისაგან განასხვავებს. აქ ზოგადი კი არ არის უარყოფილი, არამედ ზოგადის აბსტრაქტულობაა გადალახული, იგი შინაარსით არის გამდიდრებული. კონკრეტული სხვა არაფერია, თუ არა იგივე ზოგადი, მის მრავალმხრი-

---

2 კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281—282.

ვობაში მოცემული. კონკრეტულობისაკენ სვლის პროცესი საგანთა განსხვავების თანდათანობით აღმოჩენის პროცესს წარმოადგენს. ეს განსხვავება ზოგადის საფუძველზე მიმდინარეობს და ამით არის შესაძლებელი. ამიტომ ამ პროცესში ზოგადთან კი არა ვართ დაპირისპირებული, არამედ ზოგადს კონკრეტული, როგორც მხარეს, თავისში შეიცავს.

მეცნიერული შემეცნების ისტორია არის კონკრეტულობისაკენ სვლის ისტორია. ადამიანს იმთავითვე აწუხებდა სამყაროს საწყისის საკითხი და ფილოსოფოსმა თალესმა დებულება წამოაყენა, ყველაფერი შედგება წყლისაგან. ეს დებულება შემდეგ საფეხურზე მეტად აბსტრაქტული აღმოჩნდა და არა კონკრეტული, რადგან მისი დახმარებით სამყაროს მოვლენების ახსნა შეუძლებელი იყო და შეცნეცნების განვითარებამ წინ წაწია და განყენებულიდან უფრო კონკრეტულზე გადავიდა. სამყაროს საწყისად წამოაყენეს ჰაერი, ეს ცნება უფრო მეტი შინაარსის შემცველი იყო და ამიტომ უფრო კონკრეტული, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის მაინც განყენებულია და ნაკლოვანია როგორც ამხსნელი; ამიტომ ახალი ცნება უფრო მდიდარი „აპეირონი“ წამოაყენეს. ეს ნამდვილად აზროვნების წინსვლა იყო, რადგან, ამ ცნების მიხედვით, ყველაფერში ყველაფერია და ამით ასე თუ ისე უფრო აიხსნებოდა სამყარო; მაგრამ აღმოჩნდა, რომ არა, რადგან საჭირო იყო ისეთი რამ წამოყენებულიყო ამხსნელად, რომელიც თვითონ კი არ იქნებოდა რთული, არამედ რთულის ნაწილი იქნებოდა და რთული მისგან იქნებოდა წარმოშობილი. ასეთად დემოკრატემ წამოაყენა ატომი და მისი გაგებით მთელი სამყარო ატომებისაგან შედგება. ეს იყო კაცობრიული აზროვნების ისეთი მიღწევა, რომელიც გვიან, მაგრამ მაინც საფუძვლად დაედო ცდისეულ მეცნიერებას. ცდით დადასტურდა დალტონის მიერ ატომების არსებობა და მათგან საგნების არსებობა აიხსნა. ჭეშმარიტების კონკრეტულობას ამით არ დასმია წერტილი. ახალმა მეოცე საუკუნემ ატომის ცნება უფრო მდიდარი გახადა, აქ მისმა კონკრეტულობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, გამოირკვა, რომ ატომი შინაგანი აგებულებისაა, ის ბირთვისა და ელექტრონებისაგან შედგება. ასეა ყოველნაირი მეცნიერული შემეცნება, ის უფრო და უფრო კონკრეტულობისაკენ მიდის, ჭეშმარიტების კონკრეტულობა ობიექტური ჭეშმარიტების ნიშანია. ჰეგელი აბსტრაქტულს ორი მნიშვნელობით ხმარობს, პირველია მთელისაგან რომელიმე მხარის მოწყვეტა და მისი მთელისაგან განცალკევებით განხილვა; ჰეგელის აზრით, ასეთი განხილვა განსჯის უნარია, მთელის დაშლა და მისი მხა-

რეების შესწავლა ცალ-ცალკე საჭიროა, მაგრამ, მისი აზრით, საჭიროა მათი კვლავ გაერთიანება და მთლიანობაში მოყვანა, რაც უკვე მათ კონკრეტულობას შეადგენს. ჰეგელის აზრით, ასეთი კონკრეტული აბსტრაქტულია იმ აზრით, რომ ის გრძნობადი მხარეების შემცველი არ არის. რაკი აბსტრაქტულობა მთელიდან რომელიმე მხარის გამოყოფას და მის განცალკევებულად განხილვას ნიშნავს, ამიტომ იტყვის ჰეგელი, რომ ჭეშმარიტება აბსტრაქტული არ არის, ის კონკრეტულია. საგნის არსების შემეცნება არის მისი კონკრეტულობაში შემეცნება, რადგან არსების შემეცნებამ უნდა განსაზღვროს საგნის სხვა მხარეების შემეცნება და ის ადგილი, რაც საგნის მხარეებს უკავიათ მის მთლიანობაში. ჰეგელის ჭეშმარიტების კონკრეტულობა მაინც მის იდეალისტურ საწყისზეა, ხოლო მისი მარქსისტული გაგება იმაშია, რომ ადამიანურ შემეცნებას, რომელსაც წინ აქვს შესამეცნებელი სინამდვილე, შემეცნების დასაწყისში ღარიბი ცოდნა აქვს, მაგრამ მისი ისტორიული განვითარება მას უფრო კონკრეტულს ხდის.

ლოგიკაში შემუშავებული შეხედულების მიხედვით საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცნებებს ის ახასიათებს, რომ მათში მოცულობა და შინაარსი არაპირდაპირ დამოკიდებულებაში არიან. რაც უფრო იზრდება მოცულობა, მით უფრო მცირდება შინაარსი, ხოლო რაც უფრო იზრდება შინაარსი, მით უფრო მცირდება მოცულობა. ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით, მაგალითად, კასირერის, თუ ასე გავიგებთ ცნების ბუნებას, მაშინ განვითარების პროცესი მიგვიყვანს იმ ფდგომარეობამდე, რომ ცნება, რომელიც ყველაზე ზოგადია, იქნება ყველაზე უშინაარსო და ამიტომ მეცნიერებისათვის სრულიად უსარგებლო, რადგან ცნება ცარიელია, მისი საშუალებით სინამდვილის მოსაზრება არ შეიძლება. თუ მეცნიერების განვითარება ასეთი გზით მიდის, ცხადია, იგი კაცობრიობისათვის არ ყოფილა მიზანშეწონილი, ამიტომ, კასირერის გაგებით, საჭიროა, ცნების ახალნაირი გაგება, რომლის მიხედვითაც, ცნება არა თუ ღარიბდება შინაარსისაგან, არამედ რაც უფრო მეტად ზოგადია ცნება, მით უფრო მეტი შინაარსის შემცველია იგი. ამით მოხდება განსხვავების წაშლა ისტორიულ და საბუნებისმეტყველო შემეცნებათა შორის, ისინი იქნებიან ერთი ლოგიკური კანონზომიერებისა. კასირერის აზრით, ცნება უნდა გავიგოთ არა როგორც აბსტრაქტული, არამედ როგორც რიგი. რიგის ცნების შემოტანით ცნება ხდება ნამდვილად კონკრეტული, რადგან ამით საგნებია მიმართებაში. აქ მოცემულია

არა მარტო ის, რაც ქმნის ამათ საერთოს, არამედ ისიც, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.

შემეცნებას აინტერესებს არა განყენებული საგანი, არამედ როგორც მიმართების წევრი. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ამ მხრით კანონი, რომელიც იძლევა მოვლენათა მრავალფეროვნების ცოდნას. ამ აზრით, ცხადია, რომ ზოგადი ცნება არის ყველაზე შინაარსიანი. უფრო ზოგადი ცნება განმსაზღვრელია ნაკლებად ზოგადი ცნებისა, მაგალითად, ადამიანის ცნება განმსაზღვრელია თეთრკანიანის, ევროპელის, ბერძენის, ათინელის და სოკრატესი, ხოლო იგი მათგან არ არის განსაზღვრული. ზოგადი ცნება განსაზღვრას მისი შემდგომი ცნებისაგან არ ღებულობს, ეს ასე იქნებოდა, რომ ცნებას მხოლოდ მოცულობა ჰქონდეს. ეს ცნებები ადამიანის ცნებიდან გამოდიან სინთეტურად.

თუ დავაკვირდებით მეცნიერებას, რომელიც ზოგადად ცნებებს იმუშავებს, აღმოჩნდება, რომ ისინი არ არიან ისეთი აბსტრაქტულნი, რომელნიც, როგორც ამბობენ, განზოგადების შედეგად შინაარსისაგან ღარიბდებიან. უეკველად ზოგადია, მაგალითად, წარმოების წესის ცნება, რადგან იგი განყენებულია ცალკეული საზოგადოებრივი ფორმებისაგან, წარმოების წესის ცნება უშუალოდ არც ერთი საზოგადოებრივი ფორმის წარმოების წესს არ გულისხმობს. მაგრამ იგი, როგორც ზოგადი ცნება, ამავე დროს არის შინაარსით მდიდარი იმ ცნებებთან შედარებით, რომელნიც მასთან არიან დაკავშირებულნი. ასეთი ცნებებია წარმოებისა და ბაზისის ცნებები. წარმოება არ არის ბაზისის გარეშე ისე, როგორც ბაზისი არ არის წარმოების გარეშე. წარმოების წესი წარმოებისა და ბაზისის ერთიანობას წარმოადგენს. წარმოების წესის ცნება ამ ერთიანობას ასახავს, წარმოების წესის ცნება ერთი ცნებაა: იგი არ შედგება ორი, წარმოებისა და ბაზისის ცნებებისაგან. მაგრამ იგი მოიცავს იმ მხარეებს, რომლებიც წარმოებისა და ბაზისის ცალკეული ცნებებით აისახება და ამიტომ იგი მათთან შედარებით მდიდარია შინაარსით. განვითარებისა და ცვლილების ცნება რომ განვიხილოთ ურთიერთთან დაპოკიდებულებაში, აღმოჩნდება, რომ ერთი ნაკლებ შინაარსიანია, მეორე კი მდიდარია. განვითარების ცნებიდან ცვლილების ცნება იმიტომ კი არ გამოიყვანება, რომ განვითარება ცვლილების სახეა, არამედ იმიტომ, რომ განვითარება უშუალოდ შეიცავს ცვლილების პროცესს. ცვლილება ნაკლებ შინაარსიანია იმიტომ კი არა, რომ ცვლილება განვითარებისადმი არის გვარეობითი ცნება, არამედ იმიტომ, რომ იგი განვითარების ერთი აუცილებელი მხარეა. განვითარება

თვითონ არის ცვლილება, მაგრამ ცვლილება, რომელიც ახლის წარმოშობაში მდგომარეობს. განვითარების ცნება უფრო ზოგადია სწორედ იმიტომ, რომ იგი თავისში შეიცავს ცვლილებების პროცესს და რაკი ცვლილების შემცველიც არის, ამიტომ თვით ცვლილების პროცესთან შედარებით იგი არის აგრეთვე კონკრეტულიც. ფიზიკური მოძრაობის ცნება, დრო და სივრცის ცნებებთან მიმართებით კონკრეტულიც არის და ზოგადიც. დროს და სივრცის ცნებები აბსტრაქტულია. ამ ცნებაში მოცემულია დრო და სივრცე მოძრაობის გარეშე, ხოლო მოძრაობა თავისში შეიცავს როგორც დროს, ისე სივრცეს.

## 5. ან-ან-ის ჰეშმარიტება

ჰეშმარიტებას გამოხატავს დადებითად ან უარყოფითად გამოთქმული მსჯელობა, „ატომი არის მატერიალური", „წყალი არ არის მყარი სხეული" — დადებითი და უარყოფითი მსჯელობებია, რომელთაც ჰეშმარიტების ნიშანი აქვთ. ამათ გარდა არის „ან-ან-ის" მსჯელობები, რომლებიც მიმართულია ან მომავალი საგნისაკენ, რომელიც წარმოშობაშია და ჯერ არ არის, ან იმ საგნისაკენ, რომელიც თავისთავად გარკვეულია, მაგრამ თუ შემეცნებისათვის რაა, გაურკვეველია. ამიტომ „ან-ან-ის" მსჯელობითაა გამოთქმული. განსხვავება, ერთი მხრივ, წარსულსა და აწმყოს და, მეორე მხრივ, მომავალს შორის ის არის, რომ წარსულის ან აწმყოს შესახებ მსჯელობები შეიძლება შემოწმდეს, ხოლო მომავლის მსჯელობა შემოწმებას არ ემორჩილება, რადგან მისი საგანი ჯერ არ არსებობს, ის წარმოშობაშია. მომავლის საგანი ორ ერთმანეთის გამომრიცხავ შესაძლებლობას შეიცავს და მათგან რომელი განხორციელდება, გაურკვეველია. როცა ის განხორციელდება, ის მომავლად კი არა. არამედ აწმყოდ იქცევა. რაკი მომავალი საგნის მსჯელობის შემოწმება არ შეიძლება, შეიძლება გამოითქვას მსჯელობა „ან-ან-ის" გაზოგენებით. მაგალითად, „ხვალ 25 დეკემბერს თოვლი ან მოვა, ან არა". საგნის ქმნადობის დასაწყისში რომლიდან რომელი შესაძლებლობა განხორციელდება, უცნობია და ამიტომ ან-ან-ის გამოთქმული მსჯელობა არც ჰეშმარიტია, არც მცდარი. ეს მსჯელობა საერთოდ არ დგას, ჰეშმარიტება მცდარობის გარეთ, რადგან ის მაინც არის ჰეშმარიტება, რომ ორი ერთმანეთის გამომრიცხველი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი უნდა განხორციელდეს. ვთქვათ ორი X და Y იბრძვის, ან ერთი გაიმარჯვებს ან მეორე. თითოეული

გამარჯვებისაკენ მიისწრაფვის, თითოეულისათვის ის არის ჭეშმარიტება, რომ გაიმარჯვებს. სინამდვილეში ორივეს გამარჯვება არ შეიძლება. ამიტომ ორივეს მსჯელობა არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს. შესაძლებელია ეს ბრძოლა გარკვეულ კანონს ემყარება, ის განსაზღვრავს მათ ბრძოლას და ერთ-ერთის გამარჯვებას, მაგრამ განყენებულ კანონს არ შეუძლია ეს საკითხი გადაწყვიტოს ამ მხარეების ბრძოლის განვითარების გარეშე. ამ კანონმა მხარეების ბრძოლაში უნდა განსაზღვროს მათგან ერთ-ერთის გამარჯვება. კანონი ამ ბრძოლით ხორციელდება. მომავალი მოქმედებით უნდა გაირკვეს, ხოლო მოქმედება ორ შესაძლებლობას შეიცავს: თუ დასაწყისში მთელი მსვლელობაა მოცემული, მაშინ შეიძლება მასზე გარკვეული ჭეშმარიტი ან მცდარი მსჯელობის გამოთქმა, მაგრამ ჩაქმე ის არის, რომ დასაწყისში მთელი მსვლელობა არ არის მოცემული. ეს ასე რომ იყოს, ის არც მსვლელობა იქნებოდა. ამიტომ დასაწყისში მთელი მსვლელობის არსებობის გულისხმობა მსვლელობისათვის წინააღმდეგობრივია. ისე რომ დასაწყისში მსვლელობა და ბოლო ისეა დაფარული, რომ მის შესახებ მხოლოდ ან-ან-ის სახით შეიძლება მსჯელობა, ეს კი არც ჭეშმარიტია და არც მცდარია. მაშასადამე, ან-ან-ის მოხმარებით შესრულებული მსჯელობა არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ხოლო თვით ან-ანი, როგორც ყველა შესაძლებლობათა გამოთქმული მსჯელობა, ჭეშმარიტია. ხვალ ან დარი იქნება, ან ავდარი, რამდენადაც მსჯელობა ამ ორ შესაძლებლობას გამოთქვამს და მეტი არ არსებობს, ამიტომ ის ჭეშმარიტია; ხოლო ეს მსჯელობა განხილული იმ კუთხიდან, თუ როგორი ამინდი იქნება, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.

მსჯელობა ერთეული ან ზოგადი, დადებითი ან უარყოფითი, მხოლოდ კატეგორიულ ფორმაში აკმაყოფილებს შემეცნების საბოლოო მიზანს, ხოლო პირობითი და გაყოფითი მსჯელობები კატეგორიულ მსჯელობამდე მისვლის საფეხურია. რამდენადაც ეს მსჯელობები ამ საფეხურად განიხილება, ამდენად ისინი ქმნიან დასკვნას. პირობითი მსჯელობა არის მსჯელობა, რომელშიც ასახულია ორი საგანი, ან საგნის ორი მხარე, რომელთა შორის არის მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულება, ან საგანთა თანაარსებობითი დამოკიდებულება, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პირობითი მსჯელობა, როგორც ჭეშმარიტება, გამოხატავს საგანთა ან მის მხარეთა შორის დამოკიდებულების წესს ან კანონს. ამ თვალსაზრისით პირობით მსჯელობაში ცოდნის მიხედვით უსასრულობას არა აქვს ადგილი. იგი ამ დამოკიდებულების სრული შემეცნების შედეგია, მაგრამ ადამიანს

აინტერესებს არა მხოლოდ დამოკიდებულების წესი, არამედ რეალურად არსებული დამოკიდებულება, როგორც გარკვეულ დროში მიმდინარე. ამ აზრით პირობითი მსჯელობა, როგორც წესის გამომხატველი, აღარ არის დაკმაყოფილებული. აქ დამოკიდებულების კანონზე დამყარებით უნდა მივიდეთ ერთ მეორე წევრთან და ეს დამოკიდებულება გამოიხატება არა პირობით, არამედ კატეგორიული მსჯელობის ფორმაში.

X არის Y არც მცდარია და არც ჭეშმარიტი, ის ასეთი იქნება, თუ მასში მნიშვნელობები ჩაისახება. მაგალითად, ლომი არის ოთხფეხი; ასევე ჭეშმარიტება-მცდარობა არა აქვს შემდეგ გამოთქმას:

X არის ოთხფეხი, ის ასეთად გახდება, თუ მასში მნიშვნელობა ჩაისმის: მაგალითად, ლომი არის ოთხფეხა. ჭეშმარიტია, ქათამი არის ოთხფეხი მცდარია. ასეთია ზოგადად ჭეშმარიტების და მისი გამოთქმის ბუნება.

# ТЕОРИЯ ПОЗНАНИЯ


## Резюме

Труд состоит из двух глав. В первой главе рассматривается теория истины Гегеля, Джемса, Гуссерля, Хайдеггера, Бредли, Нуцубидзе, Струосона. Гегель отрицает положение, согласно которому истина есть соответствие понятия с предметом. Он утверждает, что истина есть осуществление понятия в предмете. Поэтому можно утверждать, что существует истинный человек, истинное искусство. Но Гегель не мог устранить истину как соответствие понятия предмета. Джемс отрицает объективность истины и утверждает, что истина индивидуальна, социальна. Истина есть то, что полезно для человека. Это — субъективный идеализм.

В труде критикуется теория Бредли, который признает только последовательность мысли.

Во второй главе излагается теория истины диалектического материализма. Здесь рассматривается объективность, относительность, абсолютность, конкретность и абстракционность истины.

В конце труда говорится о том, что истина выражается только суждением. Здесь критикуется точка зрения Гегеля, который утверждает, что суждение лишь односторонне выражает истину. Анализируются формы суждения, выражающие истину. Суждение или положительно, или отрицательно, а истина этими признаками не характеризуется.

## შინაარსი

### I თავი


ჭეშმარიტების შესახებ ზოგიერთი თეორიის კრიტიკა 3

1. ჰეგელის ჭეშმარიტების თეორია . 3
2. ჯემსის ჭეშმარიტების თეორია 7
3. ჰუსერლის ჭეშმარიტების თეორია 13
4. ჰაიდეგერის ჭეშმარიტების თეორია 17
5. ნუცუბიძის ჭეშმარიტების თეორია 21
6. ჭეშმარიტების შესაბამისობის თეორია 26
7. ჭეშმარიტების შესრულების თეორია 27
8. ჭეშმარიტების თანმიმდევრობის თეორია 29


### II თავი


ჭეშმარიტების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია

1. ობიექტური ჭეშმარიტება 32
2. შეფარდებითი ჭეშმარიტება 41
3. აბსოლუტური ჭეშმარიტება . . 43
4. აბსტრაქტული და კონკრეტული ჭეშმარიტება 44
5. ან-ან-ის მსჯელობის ჭეშმარიტება 51

Теория познания (Резюме) 54

**Георгий Исакиевич Шушанашвили**

**ТЕОРИЯ ПОЗНАНИЯ**

**(На грузинском языке)**

რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატები — კ. სანაია, გ. ხუციშვილი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

ИБ 1676

რედაქტორი გ. მაჩიტაძე
გამომცემლობის რედაქტორი ე. ფარქოსაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ნ. მაჩაიძე

გადაეცა წარმოებას 6.2.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.4.1981;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 3.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.8;

უე 01091; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 411;

ფასი 40 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19